სარჯიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 30 აგვისტო 2001 №164 (1437) | ფასი 50 თეთრი

ჩაფრეხმა სტვირს ჩაბერეს

რეინჯერსმა შოთა არველაძე 3 მილიონ გირვანქად წაიყვანა

გუშინდელი ამბავია — შოთა არველაძე თბილისიდან გლაზგოში გაემგზავრა, მოლაპარაკებისა და სამედიცინო შემოწმების შემდეგ ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი შოტლანდიურ ბობოლა „გლაზგო რეინჯერსთან“.

ამსტერდამის „აიაქსის“ და შოთა არველაძის კონფლიქტი ამით დასრულდა. ქართველ მეგოლეს ჰოლანდიის სუპერკლუბში დარჩენა კი სურდა, მაგრამ ამსტერდამელთა ახირების თუ სიძუნწის გაეს არ მოსწონდა. გუშინვე შოთას რეინჯერსულ ტრანსფერს კომენტარი დაურთო „აიაქსის“ დამრიგებელმა კო ადრიანსემ: „ჩვენ მართლა გვინდოდა არველაძის შენარჩუნება, პირველ რიგში იმიტომ, რომ ის ბევრს ნიშნავდა „აიაქსისთვის“ და წინა სეზონში გუნდის ბომბარდირიც გახლდათ. არველაძე არაჩვეულებრივი ფეხბურთელია. როგორც მისმა მწვრთნელმა, რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე, რომ ის „აიაქსიდან“ არ წასულიყო. რეკომენდაციით მივმართე კლუბის ხელმძღვანელობას, მათ იმდენი ფული გადაეხადათ არველაძისთვის, შესაძლებელი გამხდარიყო მასთან ახალი კონტრაქტის გაფორმება. თუმც, ამანაც არ გასჭრა“.

„გლაზგო რეინჯერსის“ უფროსობა კი ერთობ კმაყოფილია შოთას ტრანსფერით. მათი განცხადებით, არველაძე უფრო მნიშვნელოვანი იქნება გუნდისთვის, ვიდრე ახლახან „გლაზგო რეინჯერსიდან“ „ვესტ ჰემში“ გადასული შოტლანდიის ნაკრების ფორვარდი დონ ჰათჩისონი. გლაზგოელებს თავი მოაქვთ, რომ არველაძის გადაბირებაში „ასტონ ვილასა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ ავჯობეს.

რაც შეეხება სატრანსფერო თანხას, სატელეფონო საუბრისას შოთას მენეჯერმა ივან ბენეშმა გვითხრა, ეს საიდუმლოაო. ამას, ცხადია, არც „გლაზგო რეინჯერსი“ ახმაურებს, ხოლო ჰოლანდიური წყაროები კი იუწყებიან, რომ სქოთებმა დაახლოებით სამი მილიონი გირვანქა ჩაუთვალეს „აიაქსს“.

„გლაზგო რეინჯერსი“, რომელიც ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზე თურქულმა „ფენერბაჰჩემ“ დაჯაბნა და ახლა უეფას თასზე მახაჩყალის „ანჟისთან“ მოუწევს შებმა, შოთა არველაძეს ამ სეზონში მხოლოდ შოტლანდიის ჩემპიონატში და თასის მატჩებში დაიხმარს, რადგან არველაძე „აიაქსის“ უეფას განაცხადში მანამდე გახლდათ შეყვანილი და ითამაშა კიდეც „სელტიკის“ წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდში.

მაშ ასე, შოთა ტორე ანდრე ფლოს, კლაუდიო კანიჯას, მიხაელ მოლსის რეინჯერსულ შემტევ ამქარში გაერია...

ეროვნულ ნაკრებს კი შოთა არველაძე დღეს შეუერთდება.

დავით თავართქილაძე



შოთა არველაძე უკვე რეინჯერსელია

თბილისს ნასტუმრები უნგრელები საქართველოს ნაკრებს ორი გოლით დაემუქრნენ

ბარგს კეთილად ფოტოზე

უნგრელთა მწვრთნელმა ბერტალან ბიჩკეიმ გუშინ დუმილი ამჯობინა

დიპლომიანი ბიჩკეი, უსასტვენო ჯული და მადიანი მადიარები

გუშინ საღამოს ჩამოვიდნენ თბილისში უნგრეთის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები. ეროვნული გუნდი, ცხადია, „შერატონ მეტეხში“ დაბინავდა. დელეგაცია არცთუ მრავალრიცხოვანია , ოფიციალური პირები და ჟურნალისტთა მცირე ჯგუფი.

სტუმრები სასტუმროს ჰოლში ცოტა ხნით შეყოვნდნენ. ნაკრების პრესატაშემ, რომელსაც დახმარებისთვის მივმართეთ, გვითხრა, საღამოს მწვრთნელ-ფეხბურთელებთან ინტერვიუებს ვერ გაგიხერხებთ, ეს ხვალინდელი ვარჯიშის შემდეგ იყოსო. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბერტალან ბიჩკეიმაც კვერი დაუკრა პრესატაშეს, ბარგს დაავლო ხელი და გაგვეცალა.

იხილეთ მეორე გვერდი

ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი. 29 აგვისტო. გომელი

ბელარუსი 95
საქართველო 65

მინუსობანა

ბევრი ქულის დაკარგვამ საქართველოს ნაკრებს იოტისხელა შანსიღა დაუტოვა

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

ალექსანდრ სტადუბი გომელიდან

დენის კორშუკი (№5) და ზაზა ფაჩულია ბურთისთვის იბრძვიან

დიპლომიანი ბიჩკეი, უსასტვენო პული და მადიანი მადიარები



ბაბრი ჯეიფლაძის ფოტო

უნგრელთა კარს, სავარაუდოდ, ბერლინის „ჰერტას“ მეკარე გაბორ კირალი (მარჯვნივ) დაიცავს

ბაბრი ჯეიფლაძის ფოტო

შანდორ პული თბილისს ამჯერად უსასტვენოდ ესტუმრა

დასაწყისი პირველ გვერდზე

ბერტალან ბიჩკეიზე ერთ-ორ სიტყვას მაინც გეტყვით. იგი უნგრეთში საკმაოდ მაღალი რეპუტაციის სპეციალისტად ითვლება. ყველაზე დიდ წარმატებას მაშინ მიაღწია, როცა მისი თავკაცობით უნგრეთის ახალგაზრდული ნაკრები 1984 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა. ის აგრეთვე მუშაობდა უნგრულ კლუბებშიც — „გიორში“, მტკ-ში და „ჰონვედში“, რომელსაც ქვეყნის ჩემპიონობა მოაპოვებინა. ბერტალან ბიჩკეის უცხოეთშიც უმუშავია, საუდის არაბეთის რამდენიმე გუნდის შემდეგ შვეიცარიისა და სამხრეთ კორეაშიც საქმიანობდა. ხოლო როგორც ფეხბურთელი, ბიჩკეი „ჰონვედისა“ და უნგრეთის ნაკრების მეკარე გახლდათ. ალექსანდრე ჩივაძის კოლეგა, რა თქმა უნდა, დიპლომიანი მწვრთნელია — მას კიოლნის საფეხბურთო აკადემია აქვს დამთავრებული.

ბერტალან ბიჩკეიმ თბილისში 22 ფეხბურთელი ჩამოიყვანა: *მეკარეები: გაბორ ბაბოში („ბრედა“), ატილა პალდუ (მტკ), გაბორ კირალი („ჰერტა“); მცველები: გიორგე კისი („დუნაფერი“), ტამაზ ჯუპარი („ვაშაში“), გიორგე კორსოში („შტურმი“), იანოშ მატიუში, ვილმოს შებოკი (ორივე „კოტბუსი“); ნახევარმცველები: პალ დარდაი („ჰერტა“), ზლატ დვერი („იუჰეშტი“), აკოს ფიუზი (მტკ), ქსობა ფებერი („ბრედა“), გაბორ ჰალმაი („ჰაპოელი“, თელავივი), ბელა ილუში (მტკ), მილოშ ლენკალი („ანტვერპენი“), კრისტიან ლისტენი („ვერდერი“), ტამაზ ჰეტო („ბრედა“); თავდამსხმელები: ფერენც ჰორვატი („მაკაბი“ თელავივი), პეტერ კაბატი („იზმირი“), ატილა კორსოში („ზალცბურგი“), ბარნაბაშ სტიპანოვიჩი („მარიბორი“), ატილა ტოკოლი („დუნაფერი“).*

თუ ამ ბოლო დროს უნგრელებს დიდი ფეხბურთელი არ ჰყოლიათ, სახელოვანი არბირტრით ნამდვილად შეუძლიათ იამაყონ. დიახ, თბილისში გუნდს შანდორ პულიც ჩამოყვა, რომელიც სიამოვნებით დაგვთანხმდა ექსკლუზიურ ინტერვიუზე.

— უპირველესად იმაზე მინდა გკითხოთ, რა მისიით ჩამოხვედით თბილისში.

— მე უბრალოდ მატჩის საყურებლად ჩამოვედი. საქართველო — უნგრეთის მატჩის ყურება ძალიან მაინტერესებს. ეს ჩემი მეორე ვიზიტია საქართველოში. ორი წლის წინ საქართველო — ნორკეგიის მატჩში ვიმსაჯე.

— ჰოდა, თბილისზე და ჩვენს ქვეყანაზე ალბათ რაიმე შთაბეჭდილება უკვე გაქვთ.

— თქვენს ქვეყანას და თბილისს კარგად არ ვიცნობ, ვიცი რომ ეკონომიკური პრობლემები გაქვთ და თქვენს ქვეყანაში ცხოვრება ადვილი არ არის.

— ამჟამად რას საქმიანობთ?

— უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვარ და მსაჯთა კომიტეტს ვხელმძღვანელობ. ვარ აგრეთვე ფიფას და უეფას დელეგატი სხვადასხვა მატჩებზე.

— რომელიმე ქართველი მსაჯი ხომ არ არის თქვენთვის ცნობილი?

— არა, ალბათ, იმიტომ, რომ თქვენი მსაჯები ჯერ არცთუ ისე ცნობილნი არიან.

— საქართველო — უნგრეთის მატჩზე რას ფიქრობთ?

— თქვენ ძალიან კარგი ფეხბურთელები გყავთ. უნგრეთში კი მეორე ტაიმი აშკარად ჩაგივარდათ, რაც კარგად გამოიყენეს ჩვენმა ფეხბურთელებმა. იმ მომენტში, როცა ჩვენ გავიმარჯვეთ, თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი. ახლა კი ეს მატჩი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის. თუ თბილისშიც მოვიგეთ, ეს მოვლენა იქნება უნგრეთის ნაკრებისთვის — ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ. ეს შესაძლებელია.

— თქვენი აზრით, ვინ არის დღეს საუკეთესო არბიტრი მსოფლიოში?

— ამ შეკითხვაზე ძალიან ძნელია პასუხის გაცემა. მე არასოდეს მითქვამს, რომ ესა თუ ის მსაჯი არის საუკეთესო. შესაძლებელია, რომ მსაჯი ფეხბურთელს შევადაროთ, უფრო ზუსტად კი მეკარეს. ხანდახან ხდება, რომ მეკარე ბრწყინვალედ თამაშობს, მაგრამ ერთი საბედისწერო შეცდომით გუნდს წააგებინოს. ასევეა მსაჯიც, უმაღლესი რანგის არბიტრებსაც მოსდით შეცდომები, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მატჩის შედეგს.

— თქვენს მდიდარ სამსაჯო კარიერაში რომელი იყო ყველაზე დასამახსოვრებელი მატჩი?

— ჩემი კარიერა ძალიან ბედნიერად წარიმართა და უკმაყოფილო არაფრით ვარ. ძალიან ბევრი დიდი მატჩი ვიმსაჯე და მათგან ვერც ერთს გამოვარჩევ. ბოლო მატჩებიდან კი ყველაზე უფრო „იუვენტუსი“ — „დორტმუნდის“ ჩემპიონთა ლიგის ფინალი დამამახსოვრდა, რომელიც 1997 წელს ჩატარდა მიუნხენში.

— ფეხბურთელებზეც ვთქვათ. ვინ მიგაჩნიათ ახლანდელ უნგრეთის ნაკრებში საუკეთესოდ?

— ჩვენ ბევრი კარგი ფეხბურთელი გვყავს. ისე კი, ყველაზე უფრო მარადონათი ვიყავი მოხიბლული.

— გასაგებია, მაგრამ უნგრეთში აღარ ჩანს ისეთი ტალანტები, როგორიც ამ ცოტა ხნის წინათ ლაიოშ დეტარი იყო.

— ეროვნული ნაკრებიდან გაბორ კირალს და ბელა ილეშს გამოვარჩევდი. ახალგაზრდული ნაკრებიდან კი სამ ფეხბურთელს დავასახელებ — იმრე საბიჩი („შტურმი“), პიტერ სიმეკი („ვაშაში“) და გაბორ ჯეპეში („ფერენცვაროში“) — მე ჩემს აზრს მოგახსენებთ.

— ქართველ ფეხბურთელებზე რას გვეტყვით?

— მათ კარგად არ ვიცნობ. ყოფილი ფეხბურთელებიდან ყიფიანს გამოვყოფდი, თანამედროვეთაგან კი თქვენი ყველაზე ცნობილი ფეხბურთელები, ალბათ, კახა კალაძე და შოთა არველაძე არიან.

ფეხბურთელებმა ინგლისური ენის არცოდნა მოიმიზეზეს, მხოლოდ პალ დარდაი და გაბორ ჰალმაი მოვიხელთეთ და გამოველაპარაკეთ.

გაბორ ჰალმაი

— ქართველებს შინ 4:1 მოუგეთ, ის ძალიან ცუდი დღე იყო თქვენთვის. ახლა კი გაცილებით რთული მატჩი გველის. საქართველოს ნაკრებს კარგად ვიცნობთ, განსაკუთრებით ბუნდესლიგელ ფეხბურთელებს. ეს მატჩი ჩვენთვის მხოლოდ იმიტომ კი არ იქნება რთული, რომ საქართველოს თბილისში ვეთამაშებით, არამედ კიდევ ერთი ფაქტორიცაა — თქვენ გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს და ასეთ დროს როგორც წესი, გუნდი უფრო დიდი აგრესიულობით და მეტი მოტივაციით თამაშობს. გერმანიაში მოთამაშე ქართველების გარდა ქეცბაიას, კალაძეს და არველაძეს გამოვარჩევდი. თქვენს ფეხბურთელებს შეუძლიათ სწრაფად ითამაშონ და პრესინგიც განახორციელონ.

მხიარულ გუნებაზე იყო ბერლინის „ჰერტას“ ნახევარმცველი **პალ დარდაი.** თანაგუნდელების გარემოცვაში, ტყავის სავარძელში მოკალათებული თანამოსაუბრეებს ჟესტიკულაციით რაღაცას უხსნიდა, როდესაც მომავალ მატჩზე კომენტარი ვთხოვეთ, მეგობრებს თავაზიანად მოუბოდიშა და კითხვებზე პასუხის გასაცემად მოეშზადა.

— ბუდაპეშტში იოლად დაამარცხეთ საქართველოს ნაკრები, თბილისურ მატჩზე რას ფიქრობთ?

— შინ მართლაც უპრობლემოდ ვძლიეთ თქვენს გუნდს. მართალი გითხრათ, ასეთ იოლ გასეირნებას არც ველოდით. საქართველო ძლიერი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. კალაძე, არველაძე, ქინქლაძე ევროპაში ცნობილი ფეხბურთელები არიან, მაგრამ იმ მატჩით მსჯელობა არ შეიძლება. ქართველები ახლა შინ თამაშობენ და აუცილებლად გამარჯვებისთვის იბრძოლებენ. თანაც თქვენ ხომ შელახული პრესტიჟი გაქვთ აღსადგენი. უნგრეთის შეხვედრა უნდა დავივიწყოთ, თორემ იმის ფიქრმა, რომ შინ დიდი ანგარიშით დაგამარცხეთ, შეიძლება, ცუდად იმოქმედოს ჩვენს ფსიქოლოგიურ მზადყოფნაზე.

— შანსებს როგორ აფასებთ?

— ვფიქრობ, შანსები ორივე გუნდს თანაბარი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შინაური კედლებიც უმაგრებს ზურგს. თქვენი ნაკრები ხასიათის გუნდია, ისე არ ჩაამთავრებს ციკლს, ვინმე არ შეიწიროს. ეს თქვენ ჩემზე კარგად იცით. ჩვენ აუცილებლად მოსაგებად გავალთ მოედანზე, დანარჩენს მატჩის შედეგი გვიჩვენებს. მცირედი მოდუნებაც ორივეს ძვირად დაგვიჯდება.

— საქართველოს ნაკრებიდან ვის გამოარჩევდით?

— შოთა არველაძე, ქინქლაძე, კალაძე და ქეცბაია დიდი ძალაა. მათ მარტო შეუძლიათ, მატჩის ბედი გადაწყვიტონ. კარგად ვიცნობ იაშვილს, კობიაშვილსა და ცქიტიშვილს. განსაკუთრებით იაშვილის და კობიაშვილის თამაშის მანერა მომწონს. ორივემ ბუნდესლიგის სკოლა გაიარა, ეს კი ბევრს ნიშნავს. თუ იაშვილმა ითამაშა, ჩვენს მცველებს ბევრ თავსატეხს გაუჩენს. იგი ფიზიკურად ძლიერი და მოუხელთებელი ფეხბურთელია, ტექნიკაც უხადო აქვს. მისი სახით საქართველოს ნაკრებს ძლიერი თავდამსხმელი ეზრდება.

— ვინც თქვენ ჩამოთვალეთ, მათგან ქეცბაია არ ითამაშებს, მას ტრავმა აქვს.

— მით უკეთესი ჩვენთვის, თუმც ერთი მხრივ ცუდიცაა. მწვრთნელი უკვე ბევრს გვესაუბრა თქვენს ფორვარდებზე. მცველებმაც ასე თუ ისე შეისწავლეს ქეცბაიას თამაშის მანერა. მისი შემცვლელის სტილი კი ჩვენთვის მატჩამდე უცნობი იქნება. თუმც მწვრთნელმა უკეთ იცის, ამ დროს რა და როგორ მოიმოქმედოს.

დავით თავართქილაძე
ბაჩო სვანიძე

გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა
V ტური
ტრირი 2:2 დარმშტადტი

საფრანგეთი

II დივიზიონი
VI ტური
ბუვე 2:0 ლავალი
კანი 2:4 ამიენი
შატორუ 4:2 ლე ავრი
კრეტეი 3:1 გენიონი
გრენობლი 2:1 ვალენსიენი
ლე მანი 1:0 მარტიგი
ნანსი 1:0 ნიცა
ნიმი 0:0 ისტრი
ნიორი 1:1 სტრასბური

პოლონეთი

ლიგის თასი
1/8 ფინალი. I მატჩები
ოსტროვიეცი 2:3 ვისლა
რუხი 0:0 რადომსკი
ლეგია 1:1 გურნიკი
გროცლინი 0:1 კატოვიცე
ჟუტნიკი 1:1 პოგონი
ზაგლებე 2:0 ჰეტმანი
ამიცა 3:3 ლეხი

იტალია

თასის I ეტაპი. III ტური
ჯენოა 4:0 ბარი
ტრევიზო 2:0 არეცო
კომო 1:1 ვენეცია
კოზენცა 2:2 ასკოლი
სიენა 1:1 ლივორნო
პალერმო 3:0 ნაპოლი
კალიარი 0:0 ლუკეზანე
მოდენა 3:0 რეჯინა
ჩიტადელა 3:1 აველინო
მონცა 1:2 სამპდორია
მესინა 0:0 ვიჩენცა
კროტონე 1:2 პესკარა
ტერნანა 1:1 კიევო
პისტოიეზე 2:3 პარატო
კატანია 0:1 ანკონა
ემპოლი 3:0 სალერნიტანა

ბაბრი ჯეიფლაძის ფოტო

უნგრელები „შერატონ მეტეხში“ დაბინავდნენ

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 1 სექტემბერი

საქართველო — უნგრეთი

თბილისი. ლოკომოტივი. 21.00. ტევადობა 25 600

ჩუმად, ჩუმად... შოთა გაფრინდა, ნაკრები დამუნჯდა

ნაკრები ვარჯიშით „წელში წყდება“

ბადრი ჯიოევაძის ფოტოები

კახა კალაძეს თავის დაზოგვა არ სჩვევია

ბევრი ქომაგი მივიდოდა გუშინ საღამოს ვაკის სტადიონზე, მაგრამ ეროვნული გუნდის ლოდინით ამაოდ დაშვრებოდა. ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელებმა ვაკის სტადიონის საკმაოდ შელანძულ გაზონს დიღმის საწვრთნელი ბაზის მოსწორებული მინდორი არჩიეს და ვარჯიშიც იქ ჩატარდა.

სანამ ჟურნალისტები წვრთნის ადგილს გავარკვევდით, მანამ ნაკრებს ვარჯიში დაეწყო კიდეც. დიღმის ბაზის კარებთან ცოტა ხანს კიდევ შეგვაყოვნეს, მაგრამ მერე გასარკვევი გაირკვა და მოედნის კიდესთან მოვკალათდით.

პირველი, რაც თვალში გვეცა, ეროვნული გუნდის შეთხელებული შემადგენლობა იყო. თემურ ქცბაია ჩვენგან ოდნავ მოშორებით, ფედერაციის გენერალური მდივნის, ვალერი ჩოლარიას სიახლოვეს იჯდა. როგორც ნაკრების ექიმმა დიმიტრი ზაალიშვილმა გვითხრა, მას ინგლისიდან ჩამოყოლილი მუხლის ტრავმა აწუხებს, ხვალ გამოსაკვლევად წავა, სურათს გადაიღებს და ითამაშებს თუ არა, მერე გაირკვევა.

წვრთნის დაწყებიდან რამდენიმე წუთში მთავარ ჯგუფს გამოეყო ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე ცოტა ხანს იკენწლავა და მერე მაყურებლებში გადაინაცვლა. ექიმის თქმით, სერიოზული არაფერია, შოტლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურში რეინჯერსელ მეტოქეს გიორგისთვის კუნთში ფეხი ჩაურტყამს და ოდნავ აწუხებს. ნემსაძე აუცილებლად ითამაშებს.

მთავარჯიშეთა შორის არ იყო შოთა არველაძე. ექიმებმა თქვეს, შოთას ფეხი აწუხებს და ისვენებსო. ალექსანდრე ჩივაძემ ვარჯიშის შემდეგ ისე ჩაგვიქროლა, კითხვას ვინღა ჩივის, მისალმებაც ვერ მოვასწარით, ავტობუსში აგვასწრო.

საქმე კი ასეა: გუშინწინ ვაკეში ეროვნულ გუნდთან ერთად მთავარჯიშე შოთა არველაძე გუშინ შოტლანდიაში უნდა გაფრენილიყო „რეინჯერსთან“ კონტრაქტის გასაფორმებლად. შოთას არ ყოფნა იმის მაუწყებელი იყო, რომ მისი გლასგოში გადასვლის საქმე ფაქტობრივად გადაწყვეტილია.

ოთარ გაბელიამ, მეკარეები ჯანზე არიან და სრული დატვირთვით ემზადებიან, დანარჩენზე ჩივაძეს კითხეთო.

...ღვთის მადლით ნაკრების სხვა წევრები ჯანზე არიან და გუშინდელმა ვარჯიშმაც საათნახევარზე მეტხანს გასტანა. აქამდე უხილავი ვნახე და დედა რა იყო ეს-მეთქი ვერ დავიჩემებ, მაგრამ ადრინდელისგან განსხვავებით, არ იყო ყაყანი. ფეხბურთელები მწვრთნელთა მითითებებს უსიტყვოდ, როგორც შეეძლოთ, ისე ასრულებდნენ.

დამთავრდა ვარჯიში, ვიფიქრეთ, ორიოდ სიტყვას ვთქმევინებთ ბიჭებსო, მაგრამ ვინ გვაცალა, არ დააყოვნოთ — დაიძახა მურთაზ ხურცილავამ და თითოეული ფეხბურთელი ლამის ხელჩაკიდებული მიიყვანა ავტობუსთან. საქმისთვის ასე სჯობსო, გაგვიღიმა ხურცილავამ და ნაკრებიც დიღმს გაეცალა.

გამუკა კვანტალიანი



ოთარ გაბელია თავის სადამრიგებლო კლასში

გამუკა ჯიოევაძის ფოტო

ლაშა ჯყობიამ ტაიმ-აუტი ითხოვა

გურამ დოლუნაიშვილის ფოტო

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 31 აგვისტო

საქართველო — უნგრეთი

თბილისი. ეროვნული. 20.00. ტევადობა 70 900

კოპალეიშვილის პედაგოგიკა: ახედეთ ვარსკვლავებს!

გუშინ რუსთავში უნგრეთთან მატჩამდე ბოლოსწინა ვარჯიში გამართა საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა. 19 საათზე ვახტანგ კოპალეიშვილმა „ფოლადზე“ გაამწკრივა სამწყსო და ხუთწუთიანი გასაუბრების შემდეგ შეგირდები დაასაქმა.

კოპალეიშვილმა ნაკრების მეკარეები — მირზა მერლანი და ზურაბ მამალაძე დავით გოგიას გადაულოცა, დანარჩენ 16 ფეხბურთელს კი სერგო კუტუბაძესთან ერთად ორსაათიანი ვარჯიშის ბლომდე არ მოშორებია.

ვარჯიში ტრადიციული გახურებით დაიწყო და პასების დამუშავებით გაგრძელდა. ყოველივეს ნახევარი საათი დასჭირდა, შემდეგ კი კარისკენ კომბინაციური შეტევების ჯერიც დადგა. ამ დროს კოპალეიშვილს წამდაუწუმ უხდებოდა მსოფლიოს ფეხბურთის ცნობილ ვარსკვლავთა ხსენება: „რაულის თამაში არ გინახავთ? ერთი შეხედეთ...“ „დელ პიეროს კოზირი საჭირო მომენტში ბურთთან ყოფნაა...“ და ასე დაუსრულებლად. ახალგაზრდული ნაკრების მესაჭე ექსტაზში შევიდა. ჩვენებიც რაულივით და დელ პიეროსავით ვერა, მაგრამ რაც შეეძლოთ, მონდომებით აკეთებდნენ. სხვებისგან კორღალიძე, ადამია და დეკანოსიძე გამოირჩეოდნენ. გუშინდელი ვარჯიშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი კარგ ფორმაში უნდა იყვნენ. ბოლომდე დაიხარჯა აბრამიძე, ბევრს ცდილობდა ნაკრების ახალწვეული ირაკლი სამხარაძე. პრინციპში, მონდომებას ვერც დანარჩენებს დავუწუნებთ, მაგრამ ჯერაც საკითხავია, როგორ ფორმაში შეხვდება ჩვენი გუნდი უნგრელებს.

ვარჯიშის მომდევნო ნახევარი საათი კოპალეიშვილმა კომბინაციების დამუშავებას დაუთმო. გუნდი ორ ნაწილად გაყო და ფეხბურთელებს პრესინგი დაავალა. შეცდომის შემთხვევაში ესა თუ ის მოთამაშე აზიდვებით ისჯებოდა. კოპალეიშვილი ჯარასავით ტრიალებდა მოედნის თითოეულ კიდეში და სათამაშო დისციპლინის დამრღვევნი თვალთხედვის არეში ჰყავდა. საერთოდ, ნაკრების გუშინდელი ვარჯიში მთლიანობაში ორგანიზებული და ნაყოფიერი იყო.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ჯერაც გაურკვეველია ეროვნულ ნაკრებს მიღმა დარჩენილთა ბედი. კოპალეიშვილს გადაწყვეტილი არა აქვს, შეიმატებს თუ არა ლომაიას და შაშიაშვილს. „მოთამაშეთა გამოძახებისას მეტი ყურადღება გვმართებს, ეს პროცესი დასახვეწია. მესმის, ეროვნულ გუნდს მიღმა დარჩენილები გულდაწყვეტილნი არიან, მე კი საწვრთნელი ციკლი უკვე დაწყებული მაქვს, მათი შემატებით ძალაუნებურად სხვა ფეხბურთელები უნდა ამოვაგდო გუნდიდან. ასეთ შემთხვევაში კი მათ დასწყდებათ გული“ — გკითხრა კოპალეიშვილმა, თუმც არც ის გამოირიცხა, რომ ახალგაზრდული ნაკრების 18 ფეხბურთელს სია შეიცვალოს.

კოპალეიშვილი კმაყოფილია მერლანის სათამაშო ფორმით, მაგრამ გადაწყვეტილი ჯერაც არა აქვს, ვის ანღობს კარის დაცვას უნგრელებთან. ის კი არა, ლომაიას გარდა ბათიაშვილის შემატებასაც არ გამორიცხავს.

ექსაალსტელი ლაშა ჯყობია ვარჯიშის წინ დაუკავშირდა საფრანგეთიდან მოავარ მწვრთნელს. „ლაშამ მითხრა, რომ სასურველ ფორმაში არ იმყოფება, თუმც ამჟამად ვარჯიშობს და 2 სექტემბრისთვის ჩვენს განკარგულებაში იქნება, შეეხედავთ და თუ გადავწყვიტეთ, ლიტვასთან ვთამაშებთ“ — გვითხრა კოპალეიშვილმა.

ფრთხილად საუბრობს კოპალეიშვილი მომავალ მატჩზე — „უდავოა, გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ, მაგრამ მეტოქეს, ჩვენგან განსხვავებით, სატურნირო მოტივაცია აქვს და არაფერს დათმობს. ასე რომ, ბრძოლა იქნება.“

ახალგაზრდული ნაკრების მესვეურებმა გუშინდელი ვარჯიშის წინ გუნდს თეორიული მეცადინეობაც ჩაუტარეს. მწვრთნელებმა ფეხბურთელებს უნკრეიოთან სტუმრად ნათამაშევი მაჩის ვიდეოფირი გაუჩიეს.

კოპალეიშვილის გუნდი დღეს 20 საათზე „ეროვნულზე“ ივარჯიშებს ხვალ დილიდან კი სასტუმრო „მონოპოლში“, სადაც ახალგაზრდული ნაკრების დანიანაკეული, ჩიტაც ვერ შეფრინდება — ასკია მწვრთნელების გადაწყვეტილება.

ბაბა კვანტალიანი

სამხარაძე გერმანელებს ზანგური რუსულით ელაპარაკება

გამორჩევით „იუვენტუსს“ ქომაგობს, აღმერთებს ფიგუს და ზიდანს, იმაზე ოცნებობს, სწორი ფეხბურთი ითამაშოს...

19 წლის ირაკლი სამხარაძე ქართულ საფეხბურთო წრეში ბევრისთვის უცნობია. ჩვენში მხოლოდ ბავშვთა გუნდებში — „ნორჩ დინამოელსა“ და „ოლიმპიკში“ უთამაშია. იყო 16-წლამდელთა და 18-წლამდელთა გუნდების წევრი. რამდენიმე დღის წინ კი დიდი სიხარული ეწვია (როგორც თვითონ თვლის) და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში უხმეს.

ირაკლი ერთი წელია, გერმანიაშია და „კარლსრუეს“ საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობს.

ახალგაზრდული ნაკრების დებიუტანტს გუშინ სასტუმრო „მონოპოლში“ გავესაუბრეთ, სადაც ვახტანგ კოპალეიშვილის გუნდი შეკრებაზე იმყოფება.

გადრი ჯეიოლაძის ფოტო

— კარლსრუეში შარშან, ივლისში, წავედით. ოთხნი ვიყავით. შეთანხმების თანახმად, ორნი უნდა დავრჩენილიყავით. აგვხედ-დაგვხედეს გერმანელებმა და მე და დავით ქოქიაშვილი დაგვიტოვეს. ექვსი თვე ერთად ვიყავით მე და დათო, მერე ქოქიაშვილს „სპარტაკის“ ვარიანტი გამოუჩნდა და დავრჩი მარტო.

— „კარლსრუესთან“ დაკავშირება როგორ მოახერხეთ?

— „ირაოს“ მესვეურები დაგვეხმარნენ. მათ საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ გერმანელებთან. გეხსომებათ, შარშან გვიდო ბუხვალდიც ჩამოვიდა თბილისში და ყველაფერი მაშინ გადაწყდა. ბუხვალდი „კარლსრუეს“ მენეჯერია. თავიდან შეთანხმება მხოლოდ ექვსთვიან სტაჟირებაზე იყო, მაგრამ ექვსი თვის მერე გერმანელებმა კონტრაქტი შემომთავაზეს და ამ სეზონის წინ სამწლიან ხელშეკრულებას მოვაწერე ხელი.

— ვიცით, რომ ძირითადად „კარლსრუეს“ სარეზერვო გუნდში გიწევს თამაში.

— შარშან ამის ბედნიერებაც არ მქონდა, ვინაიდან სტაჟირად ვითვლებოდი და მხოლოდ ჭაბუკებში მთამაშებდნენ. წლეულს კი საპირისპიროდ შეიცვალა სიტუაცია და „კარლსრუეს“ დუბლშემადგენლობასთან ერთად ობერლიგაში ვთამაშობ. უკვე სამი ტური ჩატარდა და სამივე მატჩში შეუცვლელად ვითამაშე. ცენტრფორვარდის პოზიციაზე. ამჟამად მეშვიდე ადგილზე ვართ ოთხი ქულით. ბოლო ტურში „ფრაიბურგთან“ დავმარცხდით. სულმოუძულელად ველოდი ზაზა ზამთარაძესთან შეხვედრას, მაგრამ მას არ უთამაშია.

— გატყობ, ბედით კმაყოფილი ხარ. დიდ „კარლსრუეში“ თამაშს არ აპირებ?

— ჯერჯერობით გამორიცხულია. მიუხედავად იმისა, რომ ერთობ კეთილგანწყობილია ჩემს მიმართ იტალიელი პიცაიოლი. ეს კაცი 32 წლისაა და მთავარ მწვრთნელ კუნცის მარჯვენა ხელია. პიცაიოლი ერთობ გავლენიანი პიროვნებაა. მას „ჰამბურგმა“ შესთავაზა გუნდის გაძღოლა, მაგრამ „კარლსრუეში“ დარჩა. მისი წყალობითაა, ხანდახან პირველ გუნდშიც რომ ვვარჯიშობ, მაგრამ იქ თამაში ჯერჯერობით არარეალური მგონია, რადგან „კარლსრუემ“ წლეულს ბუნდესლიგაში აღზევება გადაწყვიტა, სპონსორებმა საამისოდ 60 მილიონი მარკა გაიღეს. იყიდეს ბრუნო ლაბადია და სხვა გამოცდილი ფეხბურთელები. ასე რომ...

— გერმანულად ენას გაიტეხდი, მაგრამ ქოქიაშვილის წამოსვლის შემდეგ მაინც გაგიჭირდებოდა...

— გერმანული ენა ჯერჯერობით დაუძლეველი ბარიერია ჩემთვის. საუბარი მესმის, მაგრამ ვერ ვლაპარაკობ. მიუხედავად ამისა, თავს მარტო ნამდვილად არ ვგრძნობ, გუნდში კარგი სამეგობრო წრე მყავს, მათთან კონტაქტს კი კამერუნელი ტაკან ონუკის წყალობით ვახერხებ.

— ახლა არ მითხრა, აფრიკელმა ქართული იცისო...

— ქართული არა, მაგრამ... ერთობ კურიოზული სიტუაცია შემემთხვა... „კარლსრუეს“ ერთ-ერთ პირველ ვარჯიშზე ვართ. ქოქიაშვილის გარდა არც ერთი თანაგუნდელის ერთი სიტყვაც კი არ მესმის. ჰოდა, ორმხრივი თამაშისას კამერუნელ ონუკს პასი დაუგვიანეს. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, ამ შავმა კაცმა რუსულად რომ შეუკურთხა პასის გამცუდებელს. გაკვირვებულმა ვკითხე, შენ რა, რუსული იცი-მეთქი? გადაირია სიხარულისგან, სულ „ბრატიშკა“ მეძახა. რუსულად გამართულად მეტყველებდა. თურმე ტოლიატის „ლადაში“ უთამაშია ორი წელი... მოკლედ, დღემდე ძმებივით ვართ მე და ონუკი. ერთობ მაღალი კლასის ფეხბურთელია. საპირველგუნდოდ იყიდეს გერმანელებმა, მაგრამ კუნცთან პრობლემები აქვს და ჯერჯერობით ჩვენთანაა.

— პირობებით კმაყოფილი ხარ?

— რას ამბობთ, იქ ყველაფერი ჩინებულია. კლუბმა ბინა მიქირავა სტადიონიდან ათი წუთის სავალზე. სავარჯიშო პირობებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. მრავალგვარი ტრენაჟორის და სწორი ვარჯიშების წყალობით ერთ წელიწადში საოცრად ავიმაღლე ფიზიკური კონდიციები. ჩვენი გუნდის მწვრთნელ, ჰოლანდიელ კრაიბეკთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს, ზედიზედ სამი მატჩია, სასტარტო შემადგენლობაში მაყენებს.

— ახალგაზრდულ ნაკრებზეც ვთქვათ. ელოდი გამოძახებას?

— ვფიქრობდი, რომ ეს დღე შორს არ იყო, მაგრამ ყოველივე მაინც მოულოდნელად მოხდა. ერთობ ბედნიერი და გახარებული ვარ. მადლობის მეტი რა მეთქმის ვახტანგ კოპალეიშვილისადმი, რომ მენდო და მიხმო. ვეცდები, გავუმართლო.

— უნგრეთთან რა შანსი გაქვთ?

— რეალურად რომ ვიმსჯელოთ, რომელი გრანდი უნგრეთია, ჩვენებს გასვლით მატჩშიც ტოლ-სწორად უთამაშიათ. ასე რომ, მათი დამარცხება შეუძლებელი არ მგონია. ეს დღეებია, მხოლოდ კარს მომდგარ შეხვედრაზე ვფიქრობ. პირადად მე ჰაერივით მჭირდება გამარჯვება. რაც არ უნდა იყოს, შესაძლოა უნგრელებთან მატჩი ჩემთვის სადებიუტო გამოდგეს და მინდა, კარგი ფეხი მქონდეს ახალგაზრდულ ნაკრებში.

ბაატა კვანტალიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ დილიდან ფოტო

ლევან მელქაძეს იტალიისკენ გზა ჯანი კარნევალიმ დაულოცა

იტალიელებმა ქართველები დანომრეს სი, უთხრეს სიენაში მელქაძეს და დიღმელაშვილს

მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი საფეხბურთო ლიგაა იტალიური სერია A და იქ ქართველი თამაშობს. კახა კალაძე არ ჩაკარგულა „მილანის“ ვარსკვლავებში, „კალჩომაც“ კარგად იგუა ჩვენებური.

–ეს ერთი და სხვაც მრავალიო, დღემდე ოცნებობს ქართველი ქომაგი, მაგრამ სერია A-ში შესაღწევად მარტო ოცნება როდი კმარა. ლოდინიც, ალბათ, დიდხანს მოგვიწევს, სანამ უძლიერესთა ლიგაში მეორე ქართველი გვეყოლება.

თუმც, სერია A-ს გარდა არსებობს სერია B და სერია C, ნუ იჩქარებთ, ჯერ იქ გაშინაურდით და მერე უკეთეს მომავალზე იფიქრეთ — გვაიძულებდა თბილისში სტუმრად მყოფი ენცო გამბარო. დიდი „მილანის“ ყოფილი ფეხბურთელი ხომ ჩვენებური „ვიტ ჯორჯიას“ მენეჯერი გახლავთ. კარნევალისთან ერთად საქმესაც მალე მოჰკიდა ხელი და დღეს შეგვიძლია თამამად ვთქვათ, ქართველებმა სერია B-ც ავითვისეთ. სპაგეტს ნაჩვევი ვიტელები ლევან მელქაძე და დავით დიღმელაშვილი იმ ლიგაში მოხვდნენ, სადაც ბურთი აქამდე მხოლოდ ერთ ქართველს, გიორგი ნემსაძეს უგორავია. ეროვნული გუნდის კაპიტანს ერთი სრული სეზონი „რეჯანაში“ გაუტარებია. მოკლედ, სპაგეტიდან „კალჩომდე“ არც ისე შორი მანძილი ყოფილა.

მელქაძე და დიღმელაშვილი სერია B-ს „სიენას“ თავკაცებმა ინტერტოტოს მატჩებში მოიწონეს და გასასინჯად იტალიაში მიიწვიეს. ვიტელებმა გამოწვევა მიიღეს და აპენინებს აგვისტოს შუა რიცხვებში უწიეს.

„სიენამ“ დაკვირვება დაიწყო. ჯერ ვარჯიშებზე, მერე საგანგებოდ ამხანაგური მატჩი მოაწყო და 23 აგვისტოს ერთ-ერთ სამოყვარულო გუნდთან ქართველებმა თავიანთი შესაძლებლობები წარმოაჩინეს.

„სიენას“ თავკაცი ჯუზეპე პაპადოპულო კმაყოფილი დარჩა და საბოლოო სიტყვაც თქვა — ლევან მელქაძე და დავით დიღმელაშვილი 1+1 წლით „იტალიელები“ არიან.

იტალიური კლუბის ოფიციალურ საინტერნეტო გვერდს თუ გაეცნობით, მაშინ „სიენას“ განაცხადში ჩვენებურთა გვარებსაც მოჰკრავთ თვალს. მელქაძისთვის 22 ნომერი მიუკუთვნებიათ, ხოლო დიღმელაშვილს 40-ნომრიანი მაისურა ერგო.

...მათი ბედი მათივე ხელშია. უკან დარჩა საქართველო და მათ შორის ყველა პრობლემაც. იტალიელებმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან შესაბამისი სერთიფიკატიც მიიღეს და აწი ყოფილი ვიტელები „სიენასთვის“ გაირჯებიან.

...საუკუნის დასაწყისში ფეხბურთზე გადარეულ საცოდავ ფოთელ მონადირეს გაქსუებული მევახშე უმტკიცებდა, პაპადოპულო მოკვდაო. ტყუილი ყოფილა, პაპადოპულო საუკუნის მერე გამოჩნდა ჯანმრთელი და საღ-სალამათი. თანაც ფეხბურთი აუთვისებია კარგად და ახლა ქართველებს ოდინდელ ვალს უბრუნებს.

ჯანი კარნევალი კი ახალი გუნდის კეთებას იწყებს. ოთხი მოთამაშე — ყოფიანი, საჯაია, მელქაძე და დიღმელაშვილი კლუბმა უცხოეთში დაებინავა, რიგში კიდევ ორია — გოგობერიშვილი და მუჯირი. დღეიდან, ალბათ, „ვიტ ჯორჯიაც“ ახალ ცხოვრებას დაიწყებს.

მამუკა კვანტალიანი

ოლიმპიკი ფოტო

დავით დიღმელაშვილი

ჭეიშვილი ზესტაფონს დაშორდა

მარგვეთის მწვრთნელყოფილი მეტალურგებმა მიიწვიეს

ხუთი მატჩი და ხუთი წაგება, ნებისმიერი გუნდისთვის დამღუპველი შედეგია. არც ერთი კლუბის პრეზიდენტი ამდენს არ მოითმენდა, მწვრთნელს გადააყენებდა და მდგომარეობის გამოსწორებას ეცდებოდა.

ზესტაფონური კლუბის თავკაცი ნუგზარ მდივანი მაინც ენდობოდა მწვრთნელ ვასილ ჭეიშვილს, არ სურდა მისი გაშვება, მაგრამ...

„მერანთან“ წაგების შემდეგ ჭეიშვილმა თავად მიიღო გადაწყვეტილება. ამდენ დამარცხებებს თავი რომ გავანებოთ, მოთამაშეებთან გართულებულმა ურთიერთობებმაც თავისი როლი ითამაშა. მწვრთნელმა პოსტი თავისი ნებით დატოვა.

ახალგაზრდა კაცისთვის ერთი წაფორხილება დიდი ტრაგედია არ უნდა იყოს და, ალბათ, ვასილ ჭეიშვილიც არ დარჩება უფეხბურთოდ. გუნდიდან მასზე გაცილებით სტაჟიანი და ფეხბურთში ჭიპმოჭრილი მწვრთნელები დაუთხოვიათ.

„მეტალურგი“ კი, რომელიც დღეისთვის გავარდნის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია, უთავკაცოდ დიდხანს არ დარჩენილა. კლუბის ხელმძღვანელებმა მწვრთნელი ზესტაფონშივე იპოვეს და გუნდი ზაურ ჩუბინიძეს ჩააბარეს.

იქნებ გახსოვთ ზესტაფონური „მარგვეთი“. ის გუნდი ერთ დროს საქართველოს ვიცე-ჩემპიონი იყო და ევროტურნირებზეც მოსინჯა ძალა. მართალია, მალტური „სლემასთან“ გვარიანად შერცხვა, მაგრამ...



გადრი ჯეიოლაძის ფოტო

ზაურ ჩუბინიძე

სწორედ იმ გუნდის თავკაცი იყო ზაურ ჩუბინიძე. ვნახოთ, იქნებ ამ დროულმა კაცმა უშველოს „მეტალურგს“.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ჭეიშვილი ბოლნისელი ფირუზ რეხვიაშვილის შემდეგ მეორე მწვრთნელია, რომელიც მეცამეტე ჩემპიონატის საწყისმა ტურებმა იმსხვერპლა.

მამუკა კვანტალიანი

საქართველოს 13 ჩემპიონატი
რეგულარული ლიგა
1 ტური

აღმოსავლეთი ზონა

ალაზანი 1:5 ცხუმი	ვიტ ჯორჯია 2 2:2 მერანი 3
გორდა 2 0:0 ჭაბუკიანი	ზოოვეტი 2:0 მაუდი
ვარძია 2:0 კრწანისი	ივერია 3:1 ლიახვი
ოლიმპიკი 3:2 მრეტები	დინამო 3 0:1 მცხეთა

საქართველოს თასი
პირველი ეტაპი

მრეტები 2:1 დამ. (1:1) აკადემია	კრწანისი 2:4 მაუდი
ზოოვეტი 4:0 მცხეთა	ოლიმპიკი 2:2 (პენ.4:3) ცხუმი

საქართველოს ეროვნული გუნდის

ყველა მატჩი, ყველა მოთამაშე

27.05.90	ამ	საქართველო 2:2 ლიტვა გურული, კაჭარავა
02.07.91	ამ	მოლდოვა 2:4 საქართველო ქეცბაია, დარასელია, მ. ჯიშკარიანი, ყაველაშვილი
02.09.92	ამ	ლიტვა 1:0 საქართველო
17.09.92	ამ	საქართველო 6:3 აზერბაიჯანი ყიზილაშვილი 2, გ. დარასელია, მ. არველაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი
22.12.92	ამ	კვიპროსი 1:0 საქართველო
25.05.93	ამ	აზერბაიჯანი 1:0 საქართველო
08.02.94	მტ	სლოვენია 1:0 საქართველო
10.02.94	მტ	მალტა 0:1 საქართველო ქეცბაია
12.02.94	მტ	ტუნისი 0:2 საქართველო ყაველაშვილი, კუდინოვი
23.02.94	ამ	ისრაელი 2:0 საქართველო
11.06.94	ამ	ნიგერია 5:1 საქართველო რ. არველაძე
26.06.94	ამ	ლატვია 1:3 საქართველო დ. ჯანაშია, კაჭარავა, ჯამარაული
19.07.94	ამ	საქართველო 1:1 მალტა მ. არველაძე
07.09.94	ეწშმ	საქართველო 0:1 მოლდოვა
12.10.94	ეწშმ	ბულგარეთი 2:0 საქართველო
16.11.94	ეწშმ	საქართველო 5:0 უელსი ქეცბაია 2, ქინქლაძე, მ. არველაძე, გოგრიჭიანი
14.12.94	ეწშმ	ალბანეთი 0:1 საქართველო მ. არველაძე
29.03.95	ეწშმ	საქართველო 0:2 გერმანია
26.04.95	ეწშმ	საქართველო 2:0 ალბანეთი მ. არველაძე, ქეცბაია
07.06.95	ეწშმ	უელსი 0:1 საქართველო ქინქლაძე
06.09.95	ეწშმ	გერმანია 4:1 საქართველო ქეცბაია
11.10.95	ეწშმ	საქართველო 2:1 ბულგარეთი მ. არველაძე, ქინქლაძე
15.11.95	ეწშმ	მოლდოვა 3:2 საქართველო დ. ჯანაშია, კულიბაბა (ს.კ.)
27.03.96	ამ	კვიპროსი 0:2 საქართველო ქეცბაია, ჯამარაული
24.04.96	ამ	რუმინეთი 5:0 საქართველო
08.05.96	ამ	საბერძნეთი 2:1 საქართველო გოგრიჭიანი
01.09.96	ამ	ნორვეგია 1:0 საქართველო
09.10.96	მწშმ	იტალია 1:0 საქართველო
09.11.96	მწშმ	საქართველო 0:2 ინგლისი
05.12.96	ამ	ლიბანი 4:2 საქართველო იაშვილი, კინანაძე
08:12.96	ამ	ლიბანი 3:2 საქართველო გახოკიძე, ცქიტიშვილი
30.03.97	ამ	საქართველო 7:0 სომხეთი მ. არველაძე 3, ა. არველაძე 2, ქინქლაძე, ყაველაშვილი
30.04.97	მწშმ	ინგლისი 2:0 საქართველო
07.06.97	მწშმ	საქართველო 2:0 მოლდოვა მ. არველაძე, ქინქლაძე
14.06.97	მწშმ	პოლონეთი 4:1 საქართველო მ. არველაძე
10.09.97	მწშმ	საქართველო 0:0 იტალია
24.09.97	მწშმ	მოლდოვა 0:1 საქართველო ქეცბაია
11.10.97	მწშმ	საქართველო 3:0 პოლონეთი ა. არველაძე, ცხადაძე, ქეცბაია
06.02.98	მტ	საქართველო 2:1 ლატვია ჯამარაული 2
08.02.98	მტ	საქართველო 3:0 ალბანეთი ქეცბაია, ყაველაშვილი, იაშვილი
10.02.98	მტ	საქართველო 3:1 მალტა ყაველაშვილი 2, ჯამარაული
02.05.98	ამ	ტუნისი 1:1 საქართველო ქინქლაძე
30.05.98	ამ	საქართველო 1:1 რუსეთი ზ. ჯანაშია
12.08.98	ამ	აზერბაიჯანი 1:0 საქართველო
19.08.98	ამ	უკრაინა 4:0 საქართველო
05.09.98	ეწშმ	საქართველო 1:0 ალბანეთი ა. არველაძე
10.10.98	ეწშმ	ლატვია 1:0 საქართველო
14.10.98	ეწშმ	საბერძნეთი 3:0 საქართველო
18.11.98	ამ	საქართველო 3:1 ესტონეთი აშვეთია 2, დ. ჯანაშია
20.03.99	ამ	საქართველო 0:1 უკრაინა
27.03.99	ეწშმ	საქართველო 1:1 სლოვენია ზ. ჯანაშია
28.04.99	ეწშმ	საქართველო 1:4 ნორვეგია ზ. ჯანაშია
30.05.99	ეწშმ	ნორვეგია 1:0 საქართველო
05.06.99	ეწშმ	საქართველო 1:2 საბერძნეთი ქეცბაია
04.09.99	ეწშმ	სლოვენია 2:1 საქართველო მ. არველაძე
08.09.99	ეწშმ	საქართველო 2:2 ლატვია მ. არველაძე, ყაველაშვილი
09.10.99	ეწშმ	ალბანეთი 2:1 საქართველო მ. არველაძე
02.02.00	კტ	სლოვაკეთი 0:2 საქართველო ქეცბაია, ყაველაშვილი
04.02.00	კტ	რუმინეთი 1:1 (4:23) საქართველო ქეცბაია
06.02.00	კტ	საქართველო 2:1 სომხეთი ზ. ჯანაშია, მენეშაშვილი
28.03.00	ამ	ისრაელი 1:1 საქართველო ქინქლაძე
26.04.00	ამ	სომხეთი 0:0 საქართველო
04.06.00	ამ	აზერბაიჯანი 0:0 საქართველო
11.06.00	ამ	ესტონეთი 1:0 საქართველო
16.08.00	ამ	ირანი 2:1 საქართველო ყაველაშვილი
07.10.00	მწშმ	ლიტვა 0:4 საქართველო ქეცბაია 2, ქინქლაძე, ა. არველაძე
11.10.00	მწშმ	იტალია 2:0 საქართველო
14.02.01	ამ	საქართველო 0:0 უკრაინა
28.03.01	მწშმ	საქართველო 0:2 რუმინეთი
24.04.01	ამ	საქართველო 3:2 ისრაელი ქეცბაია 2, ა. არველაძე
09.05.01	ამ	საქართველო 1:0 აზერბაიჯანი იონანიძე
02.06.01	მწშმ	საქართველო 1:2 იტალია გახოკიძე
06.06.01	მწშმ	უნგრეთი 4:1 საქართველო კობიაშვილი
15.07.01	ამ	ლუქსემბურგი 0:3 საქართველო დემეტრაძე 2, ალექსიძე

სულ: 74 თამაში, 26 მოგება, 12 ფრე, 36 წაგება, ბურთები 96:103

ამ - ამხანაგური მატჩი, ეწშმ - ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მწშმ - მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მტ, კტ - მალტის კვიპროსის ტურნირი.

სახელი გვარი	ასაკი	დაბადების თარიღი	კლუბი	ამხანაგური მატჩი					ევროპის 96-ის მატჩი					მსოფლიოს 98-ის მატჩი					ევროპის 2000-ის მატჩი					მსოფლიოს 2002-ის მატჩი					სულ			
					გოლი	გაფრთხილება	გაძევება			გოლი	გაფრთხილება	გაძევება			გოლი	გაფრთხილება	გაძევება			გოლი	გაფრთხილება	გაძევება			გოლი	გაფრთხილება	გაძევება			გოლი	გაფრთხილება	გაძევება
გიორგი ნემსაძე	ნ	10.05.72	დანდი (შოტლანდია)	30	0	4	0	5	0	2	0	7	0	3	0	9	0	3	0	5	0	1	0	56	0	13	0
თემურ ქეცბაია	ნ	18.03.68	ვულვერჰემპტონი (ინგლისი)	23	8	4	0	7	4	1	0	8	2	0	0	6	1	1	0	5	2	0	0	49	17	6	0
გოჩა ჯამარაული	ნ	23.07.71	ციურიხი (შვეიცარია)	25	5	2	0	6	0	0	0	6	0	0	0	9	0	1	0	2	0	0	0	48	5	3	0
გიორგი ქინქლაძე	ნ	06.07.76	დერბი ქაუნთი (ინგლისი)	18	3	0	0	9	3	1	0	7	1	1	1	4	0	0	0	4	1	0	0	42	8	2	1
მიხეილ ყაველაშვილი	თ	22.07.71	ციურიხი (შვეიცარია)	20	6	4	0	6	0	0	0	4	0	1	1	6	1	2	0	5	0	0	0	41	9	7	1
შოთა არველაძე	თ	22.02.73	აიაქსი (ჰოლანდია)	16	5	0	0	10	4	0	0	6	2	0	0	5	3	0	0	3	0	0	0	40	14	0	0
ლევან კობიაშვილი	მ	10.07.77	ფრაიბურგი (გერმანია)	14	0	1	0	0	0	0	0	5	0	1	0	9	0	1	0	5	1	0	0	33	1	3	0
არჩილ არველაძე	თ	22.02.73	კიოლნი (გერმანია)	14	3	1	0	4	0	0	0	6	1	0	0	4	1	0	0	3	2	1	0	32	6	2	0
მურთაზ შელია	მ	25.03.69	ლოკომოტივი	13	0	4	0	9	0	2	0	6	0	1	0	1	0	0	0	0	0	0	0	29	0	7	0
კახა კალაძე	მ	22.02.78	მილანი (იტალია)	11	0	1	0	0	0	0	0	3	0	0	1	9	0	3	0	5	0	0	0	28	0	4	1
კახა გოგიჩაიშვილი	ნ	31.10.68	ლოკომოტივი	12	1	1	0	9	0	1	0	6	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	27	1	2	0
კახა ცხადაძე	მ	07.09.68	ლოკომოტივი	13	0	3	0	5	0	2	0	7	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	25	1	5	0
გიორგი ჩიხრაძე	მ	01.10.67	ჰაპოელი (ბეთ შანი, ისრაელი)	10	0	1	0	9	0	2	1	5	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	24	0	4	1
ლევან სილაგაძე	მ	04.08.76	უგუნდო	16	0	3	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	4	0	0	0	21	0	3	0
დიმიტრი კუდინოვი	მ	08.02.63	თამაში მიატოვა	12	1	2	0	7	0	1	0	1	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	20	1	4	0
დავით გვარამაძე	მკ	08.11.75	ტორპედო	11	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	6	0	0	0	3	0	0	0	20	0	0	0
გელა შეყილაძე	მ	14.09.70	ლიერსი (ბელგია)	10	0	1	0	0	0	0	0	3	0	1	0	6	0	1	0	0	0	0	0	19	0	3	0
ირაკლი ზოიძე	მკ	21.03.69	უგუნდო	9	0	0	0	3	0	0	0	5	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0	19	0	0	0
ლევან ცქიტიშვილი	მ	10.10.76	ფრაიბურგი (გერმანია)	11	1	0	0	2	0	0	0	0	0	0	0	5	0	2	0	0	0	0	0	18	1	2	0
გიორგი გახოკიძე	ნ	09.11.77	ჰსკ (ეინდჰოვენი, ჰოლანდია)	9	1	1	0	0	0	0	0	3	0	1	0	3	0	0	0	1	1	1	0	16	2	3	0
გიორგი დემეტრაძე	თ	26.09.76	რეალ სოსიედადი (ესპანეთი)	9	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	5	0	0	0	2	0	0	0	16	2	0	0
აკაკი დევაძე	მკ	28.11.71	უგუნდო	8	0	0	0	7	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	15	0	1	0
ზურაბ ხიზანიშვილი	მ	06.10.81	დანდი (შოტლანდია)	8	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	5	0	0	0	14	0	0	0
ნუგზარ ლობჟანიძე	მ	07.09.71	თამაში მიატოვა	6	0	1	0	1	0	0	0	6	0	3	0	0	0	0	0	0	0	0	0	13	0	4	0
გივი დიდავა	მ	26.03.76	ტორპედო	7	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	6	0	1	0	0	0	0	0	13	0	2	0
რევაზ არველაძე	ნ	15.09.69	თამაში მიატოვა	9	1	1	0	2	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	12	1	1	0
ზაზა რევიშვილი	მ	23.09.68	თამაში მიატოვა	7	0	1	0	5	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	12	0	1	0
ნიკოლოზ ტოვონიძე	მკ	26.04.71	ტომი (ტომსკი, რუსეთი)	6	9	2	0	0	0	0	0	3	0	0	0	2	4	0	0	0	0	0	0	11	13	0	0
დავით ჯანაშია	თ	07.08.72	ლოკომოტივი	8	2	2	0	1	1	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	10	3	2	0
გიორგი კიკნაძე	ნ	26.04.76	ფრაიბურგი (გერმანია)	5	1	0	0	0	0	0	0	3	0	0	0	2	0	1	0	0	0	0	0	10	1	1	0
ზურაბ მენეშაშვილი	ნ	30.01.80	სკონტო (ლატვია)	7	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	3	0	0	0	10	1	0	0
რატი ალექსიძე	თ	08.09.78	ჩელსი (ინგლისი)	8	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0	0	0	0	0	10	1	1	0
გელა ინალიშვილი	ნ	03.10.66	თამაში მიატოვა	4	0	0	0	6	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	10	0	0	0
თენგიზ სიჭინავა	ნ	15.05.72	ბალტიკა (რუსეთი)	8	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0	0	0	0	0	10	0	1	0
იოსებ გრიშიკაშვილი	მკ	21.12.72	დინამო	9	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	10	0	0	0
ალექსანდრე რეხვიაშვილი	ნ	06.08.74	სკონტო (ლატვია)	4	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	5	0	0	0	10	0	0	0
ზაზა ჯანაშია	თ	10.02.76	ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი)	4	2	1	0	0	0	0	0	1	0	0	0	3	2	1	1	1	0	0	0	9	4	2	1
ალექსანდრე იაშვილი	თ	23.10.77	ფრაიბურგი (გერმანია)	7	2	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	1	0	0	0	9	2	1	0
გოჩა გოგრიჭიანი	თ	12.08.64	ორიოლი (რუსეთი)	3	1	1	0	3	1	0	0	3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	9	2	1	0
გიორგი დარასელია	ნ	17.09.68	ჰაპოელი (ქვარ სავა, ისრაელი)	7	2	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	9	2	0	0
დავით ყიზილაშვილი	თ	12.12.70	თამაში მიატოვა	8	2	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	9	2	0	0
გია ჯიშკარიანი	ნ	30.11.67	თამაში მიატოვა	9	1	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	9	1	1	0
მამუკა წერეთელი	მ	17.01.79	ლიერსი (ბელგია)	3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	6	0	2	1	0	0	0	0	9	0	2	1
რევაზ ქემოკლიძე	მ	13.03.79	ტორპედო	8	0	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	1	0	9	0	3	0
ბესიკ ბერაძე	მ	20.02.68	სამგურალი	5	0	0	0	3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	8	0	0	0
გიორგი ღუდუშაური	ნ	18.02.73	უგუნდო	4	0	0	0	3	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	8	0	0	0
მიხეილ აშვეთია	თ	10.11.77	ტორპედო	5	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0	0	0	0	0	7	2	0	0
სვეტლანა თოდუა	მ	13.05.76	ტორპედო	5	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	6	0	0	0
კახა სიდამონიძე	მ	17.04.71	სიონი	5	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	5	0	0	0
ვალტერ გუჩუა	მ	06.07.75	ტორპედო	3	0	2	0	0	0	0	0	1	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	5	0	2	0
გია გურული	თ	20.05.64	თამაში მიატოვა	2	1	0	0	2	0	1	0	0	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	4	1	1	0
დავით ცომაია	ნ	04.09.67	უგუნდო	4	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	4	0	1	0
ზურაბ ფოფხაძე	მ	02.06.72	ალანია (რუსეთი)	2	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0	0	0	0	0	4	0	1	0
გიორგი კილასონია	ნ	09.09.68	ნეფთჩი (ბაქო, აზერბაიჯანი)	1	0	0	0	3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	4	0	0	0
მიხეილ ფოცხვერია	თ	12.08.75	მერანი	3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	4	0	0	0
ვალერი აბრამიძე	მ	17.01.80	ტორპედო	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	1	0	4	0	1	0
კახა კაჭარავა	თ	19.09.66	თამაში მიატოვა	3	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	3	2	0	0
მიხეილ ჯიშკარიანი	თ	01.11.69	უგუნდო	2	1	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	3	1	0	0
ზურაბ იონანიძე	თ	02.12.71	ტორპედო	3	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	3	1	0	0
მამუკა მაჭავარიანი	მ	27.11.70	უგუნდო	1	0	0	0	1	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	3	0	0	0
ვასილ სეფაშვილი	თ	17.02.69	ჟენისი (ასტანა, ყაზახეთი)	3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	3	0	0	0
თემურ ტუღუში	თ	24.02.72	ბათუმი	3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	3	0	0	0
ზვიად ჯელაძე	მ	16.12.73	ბალტიკა (რუსეთი)	3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	3	0	0	0
მელორ ბიგვავა	თ	17.01.63	აისბახტალი (გერმანია)	3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	3	0	0	0
დავით ჭიჭვეიშვილი	ნ	23.01.75	ლოკომოტივი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	3	0	1	0	0	0	0	0	3	0	1	0
გია ჩხაიძე	მ	23.02.70	ბათუმი	2	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	3	0	1	0
გიორგი ბალაშვილი	მ	07.08.73	ლოკომოტივი	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	1	0	0	0	0	0	3	0	1	0
დავით ჩალაძე	თ	22.01.76	სკონტო (ლატვია)	3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	3	0	0	0
გიორგი ჭანკოტაძე	მ	04.10.77	ვიტ ჯორჯია	3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	3	0	0	0
გიორგი ლომაია	მკ	08.08.79	ლოკომოტივი	3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	3	0	0	0
გია ფირცხალავა	მ	03.01.65	თამაში მიატოვა	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0
მერაბ ძოძუაშვილი	თ	04.11.80	ლოკომოტივი	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0
კახა კვეტენაძე	ნ	03.06.70	ტორპედო	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0
ვაჟა თარხნიშვილი	მ	26.08.71	შერიფი (მოლდოვა)	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0
შალვა ხუციძე	მ	05.10.75	ბათუმი	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0
გივი კვარაცხელია	მ	11.05.79	სკონტო (ლატვია)	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0
დავით ჯანელიძე	მკ	09.02.73	უგუნდო	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0
გიორგი ყიფიანი	ნ	12.08.78	მ.კრიაათ გათი (ისრაელი)	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0
ლევან მელქაძე	თ	12.12.79	სიენა (იტალია)	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0
ბადრი ახვლედიანი	მ	19.10.70	კოლხეთი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	1	0	0	0	0	0	2	0	1	0
ოთარ ხიზანეიშვილი	მ	26.06.81	როსტსელმაში (რუსეთი)	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0
მალხაზ ასათიანი	ნ	04.08.81	ტორპედო	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0
ედიკ საჯაია	მ	16.02.81	ტორპედო (მოსკოვი, რუსეთი)	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0
გიორგი შაბაშვილი	მ	01.09.79	დინამო	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0
მალხაზ არზიანი	მ	15.08.64	თამაში მიატოვა	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
ასლან ბალაძე	მკ	18.04.60	თამაში მიატოვა	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
იური გაბისკირია	ნ	01.09.68	სპარტაკი (ნალჩიკი, რუსეთი)	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
ირაკლი გემეზაშვილი	მ	06.07.77	პლაუენი (გერმანია)	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
გოჩა გუჯაბიძე	მ	07.07.71	მერანი	0	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
გიორგი დავითნიძე	მ	18.07.78	ლოკომოტივი	1	0	1	0	0	0	0	0

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
ევროპა

IX ჯგუფი. 1 სექტემბერი. მიუნხენი

გერმანია — ინგლისი

„ლონდონში ფეხით სეირნობისას ლამის ყოველი მეორე გამვლელი მაჩერებს და ორ სიტყვას მეუბნება: მოუგეთ გერმანელებს! რესტორანში შევდივარ სასადილოდ და იგივე ხდება. ასეა მთელ ინგლისში“ — ამბობს სვენ გორან ერიკსონი, ინგლისის ნაკრების თავკაცი და ამატებს: „შვედი კი ვარ, მაგრამ ყინულისგან შექმნილი არ გეგონოთ, მეც კარგად ვიცი, რომ შაბათს დიდი, ძალიან დიდი თამაში გველის“.





რუდი ფიოლერი და სვენ გორან ერიკსონი

ოლიმპიური დაძაბულობა
რას იტყვის პოლ ნიუმენი?

გერმანია — ინგლისს მორიგი ჯახი შაბათს მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართება, თუმცა „ოლიმპიური სიმშვიდე“ ამ თამაშთან მიმართებაში აშკარად ფუჭი გამონთქვამია. ნერვიულობენ მწვრთნელები, ფეხბურთელები, გულშემატკივრები, ექიმები, პოლიციელები... „ეს ყველაზე დიდი აქციაა, რომელიც ჩვენი გუნდის გასვლითი შეხვედრისთვის დაიგეგმა“ — აცხადებს ბრიტანეთის სადაზვერვო სამმართველოს პრეს-ატაშე მარკ სტილსი. კუნძულის დაზვერვისა და პოლიციის სამსახურების მრავალი ოფიცერი უკვე მიუნხენშია და თანამემამულე ფანებს აკვირდება, თავად ინგლისში კი ცდილობენ, ლა მანშს იქით ხულიგნების გადინებას აღუდგნენ წინ — 537 კაცს გერმანიაში გამგზავრება ჩაუშალეს, თუმცა არსებობს ინფორმაცია, რომ ბევრმა ჩხუბისთავმა მაინც მოახერხა მიუნხენში ჩასვლა.

შინ დარჩენილები კი ყოველ საათს პოლ ნიუმენის ინფორმაციას ელიან. რა ნიუმენი და რედფორდი აუტყდათ ამ გადამწყვეტი მატჩის წინო, იკითხავთ. საქმე ის გახლავთ, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის შეფი სახელგანთქმული ამერიკელი მსახიობის მოგვარე და სეხნია გახლავთ. სწორედ ეს კაცი აწვდის მოსახლეობას პირველ ინფორმაციას ნაკრებში მომხდარ ახალ ამბებზე, უპირველესად კი დევიდ ბექემის ჯანმრთელობის შესახებ. გუშინდელი ცნობა წინასთან შედარებით იმედისმომგვრელი აღმოჩნდა: „რენტგენული სურათის ნახვის შემდეგ გაირკვა, რომ ბექემის მდგომარეობა არც ისეთი მძიმეა, როგორც თავიდან ჩანდა. ახლა ჯერი ნაკრების ექიმებზეა“ — თქვა ნიუმენმა.



„ისტონ ვილასთან“ დაშავებული დევიდ ბექემის თამაში საეჭვოა

„ეს ძალიან კარგი ამბავია. გახარებული ვარ“ — ეგრევე განაცხადა ერიკსონმა, თუმცა დაამატა, რომ ყველაფერი პარასკევს გაირკვევა — „კარგი იქნება, თუ დევიდი ერთხელ მაინც ივარჯიშებს. ისე, იმედი მაქვს, რომ გერმანიის დამარცხებას ბექემის გარეშეც შევძლებთ, თუმცა ვაღიარებ, რომ ამ ბიჭის სრულფასოვანი შემცვლელი ნამდვილად არ გვყავს. ამის მიუხედავად, თუ ექიმებმა მითხრეს, მისი თამაში სარისკოაო, არ ვთამაშებ და ოთხშაბათს ალბანეთთან მატჩზე გამოვიყვან“.

სხვა მხრივ, ბიშემ ებიში, სადაც ინგლისის ნაკრებია დაბანაკებული, ყველა იმედიანადაა. იქ თვლიან, რომ ჯგუფში გამარჯვების შანსი დაკარგული ჯერ კიდევ არაა. ეგ კი არა, მიუნხენში გერმანიის დამარცხება რეალური თავად მარკუს ბაბელს, ბუნდესნაკრების ყოფილ მცველსაც ჰგონია. „გულით, ცხადია, ჩემი ქვეყნის ეროვნულ გუნდს ვგულშემატკივრობ, მაგრამ მგონია, რომ დღესდღეობით ინგლისის ნაკრები უფრო ძლიერია“ — თქვა „ლიგერპულის“ ლეგიონერმა.

შაბათის ჯახისთვის გუნდები ასეთი შემადგენლობით ემზადებიან.

ზიზა კობახიძე

ინგლისი

მეკარეები: დევიდ სიმენი, რიჩარდ რაიტი (ორივე არსენალი), ნაიჯელ მარტინი (ლიდსი);

მცველები: გარი ნევილი, ფილ ნევილი, უესლი ბრაუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), ეშლი კოული, სოლ კემპბელი (ორივე არსენალი), რიო ფერდინანდი, დენი მილსი (ორივე ლიდსი), გარეთ საუთგეიტი (მიდლსბრო), ჯეიმი კარაგერი (ლივერპული);

ნახევარმცველები: დევიდ ბექემი, პოლ სქოულზი (ორივე მანჩესტერ იუნაიტედი), სტივენ ჯერარდი, ნიკ ბარმბი, დენი მერფი (ყველა ლივერპული), ოუენ ჰარგრივსი (ბაიერნი, გერმანია), მაიკლ კარიკი (ვესტ ჰემი), სტივ მაკმანამანი (რეალი, ესპანეთი), ფრენკ ლამპარდი (ჩელსი);

თავდამსხმელები: მაიკლ ოუენი, რობი ფაულერი, ემილ ჰესკი (ყველა ლივერპული), ენდი კოული (მანჩესტერ იუნაიტედი).

გერმანია

მეკარეები: ოლივერ კანი (ბაიერნი), იენს ლემანი (დორტმუნდი);

მცველები: ფრანკ ბაუმანი (ვერდერი), სებასტიან კელი (ფრაიბურგი), თომას ლინკე (ბაიერნი), იენს ნოვოტნი (ლევერკუზენი), მარკო რემერი (ჰერტა), კრისტიან ვიორნსი (დორტმუნდი), კრისტიან ციგე (ტოტენჰემ ჰოთსპური, ინგლისი);

ნახევარმცველები: ჯერალდ ასამოა, იორგ ბიომე (ორივე შალკე), მიხაელ ბალაკი (ლევერკუზენი), სებასტიან დაისლერი (ჰერტა), დიტმარ ჰამანი (ლივერპული, ინგლისი), ლარს რიკენი (დორტმუნდი);

თავდამსხმელები: ოლივერ ბირჰოფი (მონაკო, საფრანგეთი), კარსტენ იანკერი, ალექსანდრ ციკლერი (ორივე ბაიერნი), მიროსლავ კლოზე (კაიზერსლაუტერნი), ოლივერ ნო. ვილი (ლევერკუზენი)

სამხრეთ ამერიკა

ბუენოს აირესი. 5 სექტემბერი

არგენტინა — ბრაზილია
სკოლარიმ წაიძველბიჭა

ოთხშაბათს ლუიშ ფელიპე სკოლარიმ იმ ოცდაორი ბრაზილიელი ფეხბურთელი დაასახელა, რომლებიც 5 სექტემბერს ბუენოს აირესში ჩავლენ და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში არგენტინის ნაკრების წინააღმდეგ მატჩისთვის მოემზადება. როგორც ვიცით, ტეტრაკამპეონებს საკვალიფიკაციო ჯგუფიდან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად დარჩენილ ოთხ თამაშში გვარიანი ოფლის ღვრა სჭირდებათ. ბუენოს აირესში გასამართი მატჩი სხვა მხრივაც არის გამორჩეული. ორი სამხრეთამერიკელი გიგანტის ურთიერთმტრობის სიძველე ფეხბურთის მოყვარულს კარგად მოეხსენება. მათი ამხანაგური შეხვედრებიც კი უკიდურესად მძაფრი ხასიათისაა. საფეხბურთო სამყაროში მათ ჯახს გამორჩეულად აფასებენ და „კლასიკოს“ უწოდებენ.



ლუიშ ფელიპე სკოლარი

სკოლარი, იგივე „დიდი ფილი“, არგენტინაში საბრძოლო შემადგენლობით მიდის. მწვრთნელი მხოლოდ „რომას“ ნახევარმცველ, დაშავებულ ემერსონს მოისაკლისებს. „დიდი ფილის“ ნაკრებში კვლავ გამოჩნდნენ ყოფილი მილანელი, ვეტერანი ნახევარმცველი ლეონარდო, აგრეთვე „ინტერისა“ და პსჟ-ს ყოფილი ფეხბურთელი ვამპეტა. სკოლარი ძველი შემადგენლობის მხოლოდ ერთ კაცს შემოსწყრა და ოდესღაც მადრიდის „ატლეტიკოში“ და ბირმინგემის „ასტონ ვილაში“, ახლა კი „ვასკუ და გამაში“ მობურთალი ჟუნინიო პაულისტა ნაკრებს მიღმა დასტოვა.

გიორგი მამარდაშვილი

ბრაზილია

მეკარეები: ნელსონ დიდა (მილანი, იტალია), მარკოსი (პალმეირასი);

მცველები: როკე ჟუნიორი (მილანი, იტალია), კაფუ (რომა, იტალია), ლუსიო (ლევერკუზენი, გერმანია), ჟუნიორი (პარმა, იტალია), რობერტო კარლოსი (რეალი, ესპანეთი), კრისი (კრუზეირო), ჟუანი (ფლამენგო);

ნახევარმცველები: მაურო სილვა (დეპორტივო, ესპანეთი), ედუარდო კოშტა (ბორდო, საფრანგეთი), ჟუნინიო პერნამბუკანო (ლიონი, საფრანგეთი), ვამპეტა, ალექსი, ტინგა (ყველა გრემიო), ნასიმენტუ ლეონარდო (სან პაულუ);

თავდამსხმელები: მარსელინიო პარაიბა (ჰერტა, გერმანია), ჯოვანი ელბერი (ბაიერნი, გერმანია), დენილსონი (ბეტისი, ესპანეთი), ვიტორ ბარბოსა რივალდო (ბარსელონა, ესპანეთი), ბელეტი (სან პაულო), ეულერი (ვასკუ და გამა)

ევროპა

ლეიდა. ესპანეთი. 1 სექტემბერი

ანდორა — პორტუგალია

პორტუგალიის ნაკრების შემადგენლობა

მეკარეები: კიმი (ბრაგა), რიკარდუ (ბოავიშტა);

მცველები: ჟორჟე ანდრადე, ჟორჟე კოშტა (ორივე პორტუ), ბეტუ სეველუ, რუი ჟორჟე (ორივე სპორტინგი), კაბრალი (बენფიკა), ლიტუში (მალაგა, ესპანეთი), ფრეშუ (ბოავიშტა);

ნახევარმცველები: ლუიშ ფიგუ (რეალი, ესპანეთი), სერჟიუ კონსეისაუ (ინტერი, იტალია), ფერნანდუ მეირა (बენფიკა), პეტი (ბოავიშტა), პაულუ ბენტუ (სპორტინგი);

თავდამსხმელები: ჟოაუ პინტუ (სპორტინგი), ნუნუ გომეში (ფიორენტინა, იტალია), პედრო პაულეტა (ბორდო, საფრანგეთი), ნუნუ კაპუშუ (პორტუ), სიმაო საბროსა (बेनफიკა)

მერკონორტეს თასი

A ჯგუფი. II ტური

ნეკაქსა (მექსიკა) 1:0 ამერიკა დე კალი (კოლუმბია)

ნეკაქსა	2	2	0	0	3:0	6
ალიანსა	2	1	1	0	5:2	4
ამერიკა დე კალი	2	0	1	1	1:2	1
აუკასი	2	0	0	2	1:6	0

B ჯგუფი. II ტური

მილიონარიოსი (კოლუმბია) 5:0 დეპორტივო (ვენესუელა)

გვადალახარა	1	1	0	0	3:0	3
მილიონარიოსი	2	1	0	1	5:3	3
მეტრო სტარზი	1	1	0	0	2:0	3
დეპორტივო	2	0	0	2	0:7	0

მერკოსურის თასი

C ჯგუფი. III ტური

კოლო კოლო (ჩილე) 2:1 ინდეპენდიენტე (არგენტინა)

კორინთიანსი	3	3	0	0	6:1	9
კოლო კოლო	3	1	1	1	3:4	4
ინდეპენდიენტე	3	1	0	2	4:4	3
კრუზეირო	3	0	1	2	1:5	1

D ჯგუფი. III ტური

სან პაულუ (ბრაზილია) 4:1 ველეს სარსფილდი (არგენტინა)
ტალერესი (არგენტინა) 4:1 პენიაროლი (ურუგვაი)

ტალერესი	3	1	2	0	5:2	5
სან პაულუ	3	1	2	0	4:1	5
პენიაროლი	3	1	1	1	3:5	4
ველეს სარსფილდი	3	0	1	2	3:7	1

თურქის ბედი იტალიაში
თერიმი ანჩელოტით შეაშინეს

საოცარია: ფათიჰ თერიმი „მილანის“ მწვრთნელად, შეიძლება ითქვას, ჯერ წესიერად დანიშნული არ არის, რომ იტალიურმა გაზეთებმა მის შესაძლო გადაყენებაზე დაიწყეს ლაპარაკი.

შეგახსენებთ, რომ სერია A-ს პირველობის პირველ ტურში „მილანმა“ ბრეშაში 2:2 ითამაშა. თერიმის ფეხბურთელები თავიდან 0:2-ს აგებდნენ — თან შეხვედრის დასაწყისში დაშავდა რუი კოშტა, რომელიც მყისვე საოპერაციო შეიქნა და მოედანს 40 დღის მერეღა დაუბრუნდება — მაგრამ, ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს. ამ ფრემ თურქი მწვრთნელის თავს რისხვა დაატეხა, რის გამოც, „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტს, ადრიანო გალიანის მისი საჯაროდ დაცვაც კი მოუხდა. არადა, საქმე იქამდე იყო მისული, რომ უკვე თერიმის შემცვლელს ასახელებდნენ. ამბობდნენ, რომ მილანელთა თავკაცის პოსტს ამ ზაფხულს „იუვენტუსიდან“ განთავისუფლებული კარლო ანჩელოტი დაიკავებს.

თერიმი კი უკვე ხვწნაზეა გადასული: „ერთი თვე მომეცით და ნამდვილ „მილანს“ გაჩვენებთ. ჯერ დაშავებულ ფეხბურთელებს გავსინჯავთ და გადავწყვეტთ გვჭირდება თუ არა ახლების ყიდვა“.

მაგრამ, ახლების ყიდვა არ უნდა იყოს მთლად იოლი საქმე, ვინაიდან, კლუბის პრეზიდენტს, იმავდროულად იტალიის პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონის ისედაც ბევრი აქვს დახარჯული (რუი კოშტა და ფილიპო ინძაგი შეიძინა) და კიდევ ახლების ყიდვის იდეას ნამდვილად არ მიესალმება.

და ამიტომაც პრესა ასკვნის, რომ თერიმის საქმე დასრულებულია.

სამშაბათს, რომაული გაზეთი „კორიერე დელო სპორტი“ ასეთი სათაურით გამოვიდა: „თერიმს ანჩელოტის ჩრდილი წამოეფარა“. გაზეთი წერს, რომ ის შემადგენლობა, რომელიც ბრეშაში თურქმა ათამაშა, ყველასთვის გამაოცებელი გამოდგა. ასეთი შემადგენლობით ერთი ამხანაგური შეხვედრაც კი არ ჩატარებულაო, გაოცდნენ ანალიტიკოსები. თურმე წინა დღეს იმპერატორი (თერიმის მეტსახელია) საგანგებოდ ესაუბრა პაოლო მალდინისა და ალესანდრო კოსტაკურტას.

„მათ თავად სთხოვეს შეხვედრა თუ ეს იმპერატორის სურვილი იყო?“ — კითხულობს გაზეთი.



ფათიჰ თერიმი რუი კოშტამ დაიცვა

ახლა, მალდინი, კოვერჩანოს საწვრთნელი ცენტრიდან, სადაც ნაკრებთან ერთად ვარჯიშობს, განრისხებული უარყოფს ყველა ბრალდებას, თითქოს ზემოხსენებული შემადგენლობა თერიმს მან და კოსტაკურტამ უკარნახეს.

„თუ ვინმეს რამე აინტერესებს, მე კი არა, თერიმს უნდა ჰკითხოს. ასეთი ჭორები მას, მე და კოსტაკურტას შეურაცხოფას გვაყენებს. ვერაფერი გამიგია, ერთი თამაშით გვაფასებენ. კი მაგრამ, პირველ ტურში, სტუმრად ხომ ვერც ერთმა წამყვანმა გაიმარჯვა“.

მეორე ტურში „ილნინი“ გადაეგრებულ „ფიორენტინას“ მასპინძლობს. ამ შეხვედრაში „მილანს“ [illegible] დაუბრუნდეს დემეტრიო ალბერტინი, მაგრამ რუი კოშტას ტრავმას, ბუნებრივია, აღარაფერი ეშველება.

„ვიცი, პირველ მატჩში ჩვენგან ყველა მეტს ელოდა, მაგრამ მე ვიცნობ თერიმს და იმთავითვე ვხვდებოდი, რომ ცოტა მეტი დრო დასჭირდებოდა. მას ისეთი სტილი აქვს, სანამ ყველაფერს არ დახვეწს, შედეგი არ ექნება, ხოლო თუ ამ დახვეწის პროცესს ჩაუშლით, არაფერი გამოვა. „ფიორენტინაში“ რომ მოვიდა, თავიდან გაგვიჭირდა, მაგრამ მერე, როდესაც მისი მოსაზრებები გულთან მივიტანეთ, ყველაფერი სხვანაირად აეწყო. ახლა, მალდინიზე და კოსტაკურტაზე რომ ამბობენ... თერიმი ის კაცი არ არის, სხვისი გავლენის ქვეშ რომ ექცევა. ცხადია, ფეხბურთელებთან მსჯელობს, მაგრამ გადაწყვეტილებას ვერავინ შეაცვლევინებს. რას იზამ, ეს ფეხბურთია. თუ მწვრთნელს ექსპერიმენტი გაუმართლებს, გენიოსია, თუ არა და — იდიოტი“ — განმარტავს ხელმოტეხილი რუი კოშტა.

პაპუნა ძედია

რესტორანი მზიანი ღამე

განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული სარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74

მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით

ბაჭია-ვირთხის თავგადასავალი

არგენტინას არასოდეს აკლდა ჩინებული ფეხბურთელები, მაგრამ ბოლო წლებში იმდენი ახალგაზრდა ნიჭიერი ბიჭი გამოჩნდა, ლამის ორი სრულფასოვანი ნაკრები ჩამოაყალიბონ. ერთ-ერთი მათგანია 19 წლის ხავიერ სავიოლა. ბუენოს აირესში დაბადებული ბიჭი, ვინც ახლახან დამთავრებულ ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საუკეთესო ბომბარდირისა და მოთამაშის პრიზებით დააჯილოდვეს, ხოლო წინა უქმეებზე პირველი მატჩი ჩაატარა კატალონიური „ბარსელონას“ მაისურით.

„ბარსამ“ სტუმრად პატრიკ კლუივერტის წყვილი გოლით სტუმრად 2:1 მოუგო „სევილიას“. სავიოლა მინდორზე 57-ე წუთზე შეუშვეს ჰოლანდიელი მარკ ოვერმარსის ნაცვლად და ესპანური სააგენტოების ცნობით, მას შემდეგ „სევილიას“ მცველები მუდმივ ხიფათს გრძნობდნენ.

„ვფიქრობ, დღევანდელმა შეხვედრამ დაადასტურა, რომ ამ სეზონში „ბარსელონა“ დიდი ძალა იქნება“ — თქვა თამაშის შემდეგ სავიოლამ. ამის იმედი აქვს „ბარსას“ მილიონობით ქომაგსაც. ჩვენ კი მცირე შესწორებებით გთავაზობთ წერილს, რომელიც ჟურნალ „უორლდ სოკერში“ დაიბეჭდა.

კატალონიის დედაქალაქში ხავიერ სავიოლას გადასვლა იოლი არ ყოფილა: „ბარსელონასა“ და მის ყოფილ კლუბ „რივერ პლეიტს“ შორის მოლაპარაკება არა ერთ დღეს გრძელდებოდა და რამდენჯერმე ჩაშლის პირასაც მივიდა. „რივერის“ დირექტორთა საბჭო საგანგებოდ სამჯერ შეიკრიბა და ორი უარყოფითი პასუხის მერე, როგორც იქნა, ოკეანისგაღმელთა წინადადებას დათანხმდა. ასე შეისხა ფრთები „ბარსას“ პრეზიდენტის ხუან გასპარის პროექტმა, რომელსაც „ანტიზიდანს“ უწოდებენ.

„ბარსას“ ღირსებას სავიოლა შვიდი (!) სეზონის მანძილზე დაიცავს. „რივერი“ კი 27,5 მილიონი დოლარით გამდიდრდა. თავიდან ჭაბუკ არგენტინელში 20 მილიონს იხდიდნენ, მაგრამ ახლახან დამთავრებული ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მისი ფასი ლამის მესამედით გაიზარდა.

„ბარსას“ მესვეურებმა სწორედ ხსენებული ჩემპიონატის შემდეგ გადაწყვიტეს ნებისმიერი გზით გადაებირებინათ ახალგაზრდა ტალანტი, რომელსაც სამშობლოში „ბაჭიას“ და „ვირთხას“ ეძახიან. მიაღწიეს კიდეც თავისას, სავიოლამ „რივერს“ თერთ-წითელი მაისურა „ბარსას“ ბროწეულისფერ-ლურჯზე გაცვალა.

თურმე პატარა ესპანურ ქალაქ ალიაში, ესტრემადურას მახლობლად რომ არის, სავიოლას 72 წლის ბებია ცხოვრობს. ამიტომაც ჭაბუკს ესპანეთის მოქალაქეობის მიღება შესთავაზეს.

ამ ალიაში სავიოლას ფან-კლუბიც გაუხსნიათ, ხოლო იქაური გულშემატკივრები ფეხბურთელის ისტორიულ საშობლოში ჩასვლას გულისფანცქალით ელიან.

უფრო შორეული ნათესავები სავიოლას მადრიდშიც ჰყოლია, მაგრამ მას, ისევე როგორც „ბარსას“ ნებისმიერ ფეხბურთელს, დედაქალაქში სულ სხვაგვარი დახვედრა ელის.

სამწუხაროდ, სავიოლას ბარსელონაში გადაბარგება მისთვის მეტად ტრაგიკულ ამბავს დაემთხვა. კიბოთი მამა გარდაეცვალა.

პატარა ხავიერი ფეხბურთზე სწორედ მამას მიუყვანია. უფროსი სავიოლა „რივერ პლეიტის“ თავგადაკლული ქომაგი ყოფილა და გუნდის არცერთ საშინაო მატჩს არ აცდენდა. ხავიერს ლაპარაკი ახალი დაწყებული ჰქონია „რივერის“ სკოლაში რომ მიიყვანეს და როცა ბავშვი ბურთს რამდენჯერმე შეეხო, მისი მომავალი პროფესიის ამბავი უმალ გაირკვა. „რივერში“ მან ყველა ასაკობრივი კატეგორია გაიარა და 14 წლისა უკვე ახალგაზრდულ გუნდში თამაშობდა.

იმავდროულად „რივერის“ საშინაო მატჩებისას ხალისით ასრულებდა ბურთის მიმტანის მოვალეობას. ამით საშუალება ეძლეოდა ახლოს ენახა თავისი კერპები: ენცო ფრანჩესკოლი, მარსელო სალასი და არიელ ორტეგა. დაემახსოვრებინა და გადაეღო მათგან ყველაფერი საუკეთესო. სავიოლა ძალიან სწრაფად ოსტატდებოდა და როცა 16-ის გახდა, არგენტინის ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა დანიელ პასარელამ — რომელიც „რივერის“ ახალგაზრდობას ყურადღებით აკვირდებოდა — კლუბის მესვეურებს მისი პირველ გუნდში გადაყვანა ურჩია.

არგენტინულ ელიტაში „ბაჭიას“ დებიუტი — ეს სახელი მეკარე ხერმან ბურგოსმა შეარქვა — 1998 წლის 18 ოქტომბერს შედგა და ფრიად იღბლიანიც გამოდგა: „ბაჭიამ“ ქალაქ ხუხუის „ხიმნასიასთან“ მატჩში ანგარიში გაათანაბრა. ის შეხვედრა კი 2:2 დამთავრდა.

ასეთი დებიუტის მერე კლუბში მომუშავე არიელ ორტეგას მამამ ხავიერს „სამპდორიის“ მაისურა აჩუქა. მაშინ ორტეგა სწორედ ამ იტალიურ კლუბში თამაშობდა. მაისურაზე კი ეწერა: „ხავიერს არიელისგან, დიდი სიყვარულით“...

ზემოთაც ვთქვით, ორტეგა სავიოლას კერპი იყო და შესაძლოა, ამ საჩუქარმა ბიჭს მეტი სტიმული მისცა. სავიოლამ ერთ წელიწადში დიდი და ნაყოფიერი გზა გაიარა. „რივერთან“ ერთად 1999 წლის აპერტურა მოიგო და 15 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. თანაც თვით „ბოკა ხუნიორსის“ მრისხანე ფორვარდ მარტინ პალერმოსაც აჯობა. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ პალერმომ ტრავმის გამო თვენახევარი გამოტოვა.

საინტერესოა, რომ ასეთ ახალგაზრდულ ასაკში არგენტინის ჩემპიონატის ბომბარდირობა დიეგო მარადონას შემდეგ აღარავის ღირსებია.

იმავე 99-ში, ურუგვაული „ელ პაისის“ გამოკითხვით სავიოლა სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. და ეს ყველაფერი 18 წლის ასაკში!..

2000 წელი სავიოლასთვის ნაკლებ წარმატებული იყო. სეზონის დასაწყისი ტრავმის გამო გაუცდა და „რივერმა“ კლაუსურა მის დაუხმარებლად მოიგო. წლის მეორე ნახევარში კი ჩემპიონატში „ბოკამ“ გაიმარჯვა. თუმცა სწორედ ამ დროს ჭაბუკი ვარსკვლავისთვის ერთი საოცნებო რამ მოხდა, აქეთ-იქით ხეტიალის შემდეგ გუნდში ორტეგა დაბრუნდა. მათ დიდებული დუეტი შექმნეს, ერთმანეთს ლამის უსიტყვოდ უგებდნენ. ამიტომაც ხუან პაბლო ანხელისა და პაბლო აიმარის ევროპაში გადასვლა „რივერმა“ შედარებით უმტკივნეულოდ გადაიტანა.

„ბაჭია-ვირთხამ“ არგენტინის ჩემპიონატში 46, ლიბერტადორესის თასზე — 9, ხოლო მერკოსურის თასზე 3 გოლი გაიტანა. ყველაზე მეტჯერ ხავიერმა ლა-პლატას „ხიმნასიას“ ატკინა გული — 7 ბურთი „აკმარა“. სამჯერ მას გამოცდილი ჩილავერტისთვისაც გაუტანია, რომელიც მაშინ „ველეს სარსფილდის“ კარს იცავდა.

არგენტინაში სავიოლამ პირველი დივიზიონის ყველა გუნდს გაუტანა „რასინგისა“ და „ლანუსის“ გარდა. თანაც ამას ყველა შესაძლო ხერხით აკეთებდა: მარჯვენა თუ მარცხენა ფეხით, თავით, მაკრატელათი, შორი და ახლო საჯარიმო დარტყმებით, პენალტებით...

მსოფლიოს ჩემპიონატზე ხომ სულაც იშვიათი შედეგიანობით გამოირჩა — 7 მატჩში 11 გოლი გაიტანა და ბევრით აჯობა დანარჩენებს. ამასთან, ოთხი წლის წინ ბრაზილიელი ადაილტონის დამყარებული რეკორდიც გაუმჯობესა. არგენტინის ნაკრებს ტურნირზე ქულა არ დაუკარგავს, ყველა მეტოქეს სჯობდა, ხოლო მათი მთავარი იარაღი ხავიერ სავიოლა გახლდათ.

ამ ჩემპიონატის მერე სავიოლათი ევროპაშიც ფრიად დაინტერესდნენ და უკვირთ, ასეთ ნიჭიერ ფეხბურთელს არგენტინის მთავარ ნაკრებში რატომ არ იწვევენ. მცოდნე ხალხს მიაჩნია, რომ „ბაჭია-ვირთხას“ ყველა მონაცემი აქვს, რათა მწვრთნელმა მარსელო ბიელსამ მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებში მიიწვიოს. მით უმეტეს, რომ არგენტინამ ფინალური ეტაპის საგზური უკვე გაინაღდა.

სავიოლას ღირსებებიდან უმთავრესად ბურთის ფანტასტიკური ფლობას გამოარჩევენ. მას ჩინებული დრიბლინგი და მოედნის ხედვა აქვს, შეტევის გაგრძელებისას, ხშირად პოულობს ორიგინალურ გამოსავალს. ამიტომ არგენტინელმა ქომაგებმა უკვე დეკიზიც ჩამოაყალიბეს: რაც მარადონამ ვერ გაიკეთა, იმას სავიოლა მოახერხებსო.

ერთ-ერთ ინტერვიუში ჭაბუკმა ხავიერმა თქვა, ძალიან მინდა იმ ნაკრებში თამაში, რომელსაც მარადონა გაწვრთნისო. ეგებ ამ სიტყვებით ბიელსას აწყენინა? ის ხომ თავისებური კაცია. მაგალითად, ნაკრებში პალერმოს მას მერე აღარ იწვევს, რაც საწყალმა ორი წლის წინანდელ კოპა ამერიკაზე ერთ მატჩში სამი პენალტი ვერ გაიტანა. ასევე ძირითადში ერთად არ ათამაშებს ბატისტუტასა და კრესპოს, თუმცა სამთავდაშსხმელიან ტაქტიკურ სქემას არასოდეს ღალატობს...

სავიოლას პოპულარობა კი სულ უფრო იზრდება. ბარსელონაში ჩასვლისას „ბაჭიამ“ აღიარა, რომ ვერასოდეს წარმოიდგენდა ასეთ დიდებულ დახვედრას — ლამის ეროვნული გმირივით მიმიღესო. და ეს მაშინ, როცა იქაურ ფანებს რივალდო და კლუივერტი ჰყავთ...

თუ ვინმეს სავიოლას ყიდვა მოუნდა, 150 მილიონი დოლარი გადაიხადოსო — ასეთია „ბარსას“ ხელმძღვანელთა პირობა. მათ სწამთ, რომ ჭაბუკი კლუბის ოფიციალურ პრეზენტაციაზე ნათქვამ სიტყვებს — მინდა ამ გუნდთან ერთად ყველაფერი მოვიგო, რისი მოგებაც შეიძლებაო — გაამართლებს.

„ბარსელონას“ ხავიერ სავიოლას გოლების ეიმედება

ბრაზილია

მე-7 ტურ: ბაია — კორინთიანსი 1:0, ბოტაფოგო — ვასკუ და გამა 1:1, ფლამენგო — ბოტაფოგო რიბ. 1:1, ფლამენგო — ამერიკა 3:1, სან პაულუ — პონტე პრეტა 4:0, პალმეირასი — გოიასი 3:2, პარანა — პორტუგუეზა 3:2, ფლუმინენსე — სანტა კრუზი 3:2, გუარანი — ინტერნასიონალი 2:2, სპორტ რეასიფე — კრუზეირო 0:1, ატლეტიკო მინეირო — ვიტორია 3:0, კურიტიბა — სან კეეტანო 1:1, სანტოსი — ფლუმინენსე 1:1, გამა — ბოტაფოგო 0:0, ვასკუ და გამა — ატლეტიკო პარანენსე 4:0

ატლ. მინეირო	7	5	1	1	14:3	16
პალმეირასი	7	5	1	1	16:9	16
სან პაულუ	7	4	2	1	14:7	14
ინტერნასიონალი	7	4	1	2	11:8	13
ატლ. პარანენსე	7	4	1	2	10:7	13
ფლუმინენსე	7	3	4	0	13:9	13
პონტე პრეტა	7	3	3	1	9:9	12
გოიასი	7	3	2	2	7:4	11
კურიტიბა	7	3	2	2	9:9	11
სანტოსი	7	2	5	0	8:5	11
პორტუგეზა	7	3	1	3	6:6	10
ფლუმინენსე	7	2	4	1	7:7	10
სან კეეტანო	7	2	4	1	5:7	10
ბაია	7	3	0	4	11:10	9
პარანა	7	3	0	4	8:9	9
ვასკუ და გამა	7	2	3	2	13:5	9
ბოტაფოგო	7	2	3	2	9:7	9
ვიტორია	7	2	3	2	5:8	9
კორინთიანსი	7	2	2	3	9:10	8
გრემიო	7	2	2	3	6:8	8
კრუზეირო	7	2	1	4	8:10	7
სპორტ რესიფე	7	2	1	4	7:10	7
ფლამენგო	7	2	1	4	4:9	7
გამა	7	1	4	2	6:8	7
ამერიკა	7	1	2	4	6:9	5
სანტა კრუზი	7	1	2	4	9:16	5
ბოტაფოგო რიბ.	7	1	1	5	6:14	4
გუარანი	7	0	2	5	6:19	2

არგენტინა

აპერტურა

მე-2 ტური: ბელგრანო — ბანფილდი 2:0, ნიუელს ოლდ ბოიზი — ველეს სარფილდი 1:1, ინდეპენდიენტი — რასინგი 1:1, რივერ პლეიტი — ურაკანი 4:1, არგენტინოს ხუნიორსი — როსარიო სენტრალი 1:0, ლანუსი — ტალერესი 4:0, ხიმნასია (ლა პლატა) — ესტუდიანტესი 1:1, სან ლორენსო — ბოკა ხუნიორსი 1:0, ჩაკარიტა ხუნიორსი — უნიონი 2:2. კოლონი — ნუევა ჩიკაგო მე-11 წუთზე ჩაიშალა

რივერ პლეიტი	2	2	0	0	7:2	6
ბელგრანო	2	2	0	0	5:1	6
სან ლორენსო	2	2	0	0	4:0	6
ოლდ ბოიზი	2	1	1	0	6:1	4
ინდეპენდიენტი	2	1	1	0	5:2	4
ხიმნასია	2	1	1	0	3:2	4
რასინგი	2	1	1	0	3:2	4
ლანუსი	2	1	0	1	5:2	3
არგ. ხუნიორსი	2	1	0	1	2:2	3
როსარიო	2	1	0	1	2:2	3
ჩაკარიტა	2	0	2	0	4:4	2
ესტუდიანტესი	2	0	2	0	3:3	2
კოლონი	1	0	1	0	2:2	1
უნიონი	2	0	1	1	3:4	1
ველესი	2	0	1	1	2:4	1
ურაკანი	2	0	1	1	3:6	1
ნუევა ჩიკაგო	1	0	0	1	1:3	0
ბოკა ხუნიორსი	2	0	0	2	1:4	0
ტალერესი	2	0	0	2	1:7	0
ბანფილდი	2	0	0	2	0:7	0

ბელარუსი

თასის 1/8 ფინალის ფილისჭრა

შახტიორი (სოლიგორსკი) — ნემანი (გროდნო); ნაფტანი (ნოვომოლოტკი) — დინამო (მინსკი); დნეპრტრანსმაში (მოგილიოვი) — ლოკომოტივი (მინსკი) (III); დინამო (ბრესტი) — ბარანოვიჩი (III); სლავია (მოზირი) — ვედრიჩი (რუჩიცა); ტორპედო-მაზი (მინსკი) — ბატე (ბორისოვი); ხიმიკი (სვეტლოგორსკი) (II) — ბელშინა (ბობრუისკი); გომელი — მოლოდეჩნო

მატჩები გაიმართება 14 ოქტომბერს

ლიტვა

26-ე ტური: ჟალგირისი — დინავა 3:0; ატლანტასი — ნევეჟისი 1:0

კაუნასი	26	20	4	2	62:7	64
ატლანტასი	25	16	6	3	48:21	54
ჟალგირისი	26	16	6	4	47:21	54
ეკრანასი	25	12	7	6	42:23	43
ინკარასი	26	9	8	9	38:31	35
გელეჟინისი	26	7	4	15	29:44	25
საკალასი	26	4	9	13	21:48	21
ვეტრა	26	5	3	18	21:51	18
დაინავა	26	5	2	19	24:76	17

ინგლისი

პირველი დივიზიონი. IV ტური

ძრიუ 1:0 ვილუოლი

1:0 ჰალსი (85)

დაბრუნება ჯოჯოხეთში
ტომისლავ ივიჩმა მარსელი ჩაიბარა

ბერნარ ტაპი და ტომისლავ ივიჩი კვლავ ერთად არიან

ხუთი კვირის წინ, საფრანგეთის ჩემპიონატის დაწყებამდე სამი დღით ადრე, „მარსელის“ დირექტორმა ბერნარ ტაპიმ გუნდიდან მთავარი მწვრთნელი ტომისლავ ივიჩი დათხოვა. როგორც ამბობდნენ, გული აწუხებს და დასვენება სჭირდებაო. ახლა ტაპიმ აღიარა, ივიჩმა მაშინ ოთხი თვე უკონტრაქტოდ იმუშავა და იმიტომაც წავიდაო. მას შემდეგ გუნდს მეორე მწვრთნელი, ჟოზე ანიგო თავკაცობდა. მის მიერ მიღწეული შედეგები შეგიძლიათ საფრანგეთის ჩემპიონატის ცხრილის ქვედა ნაწილში იხილოთ. ტაპიმაც ხუთი კვირა უყურა ფსკერზე დალექილ „მარსელს“ და ივიჩი გუნდში დაბრუნა. ივიჩს გული ალბათ არა, მაგრამ ტაპის თავში რაღაც ნამდვილად აწუხებს. რაც ციხიდან დაბრუნდა, საქმეები უკან-უკან წაუვიდა. „სულ ყველაფერს ვყიდულობ, ვყიდულობ და ვყიდი“ — აი, ბერნარ ტაპის დევიზი. მართლაც რომ ყველა ფეხბურთელი, გარდა იმისა, ვინც სჭირდებოდა, გუნდში მიიყვანა. ამიტომაც მისი ოცნების გუნდს ხუთი თამაშიდან ორი ქულა და არც ერთი მოგება უწერია გრაფაში. შეიძლება ითქვას, ეს კაცი ხესუს ხილის ფრანგული ასლია.

დღეს 68 წლის ტომისლავ ივიჩი ისევ მარსელშია და კიდევ ერთხელ შეეცდება ტაპის კაპრიზების დაკმაყოფილებას.

ვაჟა ხუციშვილი

NANDROLONE
ედგარ დავიდსის სერია ოქტომბერში დაიწყება

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ „იუვენტუსის“ დოპინგის ტესტზე გამოჭერილ ჰოლანდიელ ნახევარმცველ ედგარ დავიდსს ვერდიქტი ახლაღა გამოუტანა: ხუთთვიანი დისკვალიფიკაცია. ესე იგი, მაისში ჩატარებული ტესტიდან ხუთი თვე რომ გადავთვალოთ, ოქტომბერი გამოდის — დავიდსი 21 ოქტომბერს ბოლონიაში ითამაშებს.

ფაქტობრივად, სასჯელი მეტი გამოვიდა, ვიდრე „საფეხბურთო ბრალმდებელი“ სტეფანო აძალი ითხოვდა. მას დავიდსის დასჯა 31 აგვისტომდე სურდა.

იმავე მიზეზით დაისაჯა პარმელი მცველი სტეფანო ტორიზიც. იგი, ახლა, 18 ნოემბრამდე ანუ „იუვენტუსთან“ თამაშამდე ვერ გავა მოედანზე.

შეგახსენებთ, რომ დოპინგის გამო დასაჯეს კიდევ ერთი ჰოლანდიელი, „ბარსელონას“ მცველი ფრანკ დე ბური, ოღონდ მას დისკვალიფიკაცია შეუმცირეს და 1 სექტემბრიდან ითამაშებს.

ბაბუნა კვიდია

რავანელის ინგლისში იტალიური გაუკეთეს

შესაძლებელია თუ არა გააბითურო ისეთი გამოცდილი და თმაშეერცხლილი კაციც კი, როგორიც ფაბრიციო რავანელია? რა თქმა უნდა, შეიძლება. ადამიანის ფანტაზია ხომ უსაზღვროა და ამოუწურავი.

თუ გსურთ, თქვენს გუნდში ჭაღარა იტალიელის დონის ვარსკვლავი მაინც გყავდეთ, მაგრამ ჯიბეში გაბზარული თეთრიც არ გიგდიათ, მარკ შეპარდის ხერხს მიმართეთ.

მარკ შეპარდი ინგლისის ქვედივიზიონური გუნდის „ქრაუნ ინის“ მოთამაშეა. მის კლუბსაც ქალაქ დერბიში უდევს ბინა. იმ დერბიში, სადაც ქინქლაძე და რავანელი მხარდამხარ თამაშობენ. ერთ-ერთი მატჩის დასრულების შემდეგ მარკი, როგორც გულშემატკივარი, ავტოგრაფის სათხოვნელად ფაბრიციოსთან მისულა. იტალიელმაც მოუწერა ხელი (რა იცოდა, რას აწერდა) მისთვის ასე ჩვეულ თეთრ, სუფთა ფურცელზე.

მეორე დღეს აღმოჩნდა, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი ხელმოწერა. რავანელის თურმე „ქრაუნ ინთან“ კონტრაქტი გაუფორმებია. ფაბრიციომ ამის შესახებ გაზეთებიდან შეიტყო და შერჩენილი შავი თმებიც გაუთეთრდა.

მარკ შეპარდის ხუმრობა ყველამ სწორად გაიგო. მან განაცხადა, რომ იგი სულაც არ ითხოვს კონტრაქტის პირობების დაუყოვნებლივ შესრულებას. უბრალოდ, თუკი ოდესმე რავანელის „დერბიში“ თამაში მოსწყინდება, ხოლო კვირა დღეს საქმე არაფერი ექნება, ეგებ შემოგვიაროსო. მერე რა მოხდა, იხუმრა კაცმა.

ვაჟა ხუციშვილი

ფეხბურთის რუბასთან

ფრანგი ნახევარმცველი ვიკაშ დორასო „ლიონმა“ „ბორდოში“ გაანათხოვრა. 27 წლის ფეხბურთელში ჟირონდელებმა 700 ათასი დოლარი გადაიხადეს იმ პირობით, რომ მომავალი სეზონიდან სრულიად გადაიბირებენ. დორასო ბოლო სამი წლის მანძილზე „ლიონის“ ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ, თუმც მერე კლუბის ხელმძღვანელობასთან საქმეები აერია, ახლა კი გუნდიდან წასვლაზე თანხმობაც განაცხადა. ვიკაშ დორასოს საფრანგეთის ეროვნული გუნდის მწვრთნელი როჟე ლემერი შიგადაშიგ შეკრებებზეც იწვევდა. ეს უფრო მაშინ ხდება, როდესაც „ლურჯებში“ ზინედინ ზიდანია შესაცვლელი.

პორტუგალიის ეროვნული გუნდის თავკაცმა ანტონიუ ოლივეირამ „ბრეშას“ ფეხბურთელის ემანუელე ფილიპინის ნამოქმედარის გამო აღშფოთება ვერ დამალა და განაცხადა, რომ მანუელ რუი კოშტას სახით პორტუგალიის ნაკრებმა შეუცვლელი მოთამაშე დაკარგა: „მე ვნახე „მილანის“ თამაში „ბრეშასთან“. საწყენია, რომ რუი კოშტას ასე უდიერად მოექცნენ. ეროვნულ ნაკრებში მანუელის ძალიან მეიმედებოდა.“ შეგახსენებთ, სესარ მანუელ რუი კოშტამ ოპერაცია უკვე გაიკეთა და სულ ცოტა, 40 დღე დასვენება მოუწევს.

შოტლანდიელმა ნახევარმცველმა დონ ჰათჩისონმა „ვესტ ჰემის“ თავკაც გლენ რიოდერს წინასწარმეტყველება აუსრულა და „ჩაქუჩებთან“ კონტრაქტი გააფორმა. ლონდონელებს „გლაზგო რეინჯერსიდან“ მისი გამოსყიდვა 5 მილიონი გირვანქა დაუჯდათ. ეტყობა, ჰათჩისონი „ვესტ ჰემს“ მართლაც მოერგება, რადგან მანამდე მისი გადაბირების სურვილი რიოდერის წინამორბედ ჰარი რედნაპსაც სურდა.

ინგლისურმა „იფსვიჩ თაუნმა“ დანიის ახალგაზრდული ნაკრების და „ოლბორგის“ 21 წლის მცველი ტომას გაარდსო შეიძინა. კონტრაქტის ხანგრძლივობა ოთხწლიანია. როგორც „იფსვიჩის“ მწვრთნელი ჯორჯ ბარლი აცხადებს, გაარდსო ნიჭიერია და იგი მომავლის ფეხბურთელად ესახება. თავად დანიელი კი ამბობს, პრემიერლიგაში ჩვენ ცოტანი ვართ და ყველანაირად ვეცდები, შექმნილი იმიჯი არ წავახდინოო.

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტის მინისტრმა მოლეკა ნზულამამ ამ ქვეყნის ეროვნული გუნდის მწვრთნელი მულამბა მუკება დათხოვა და მის ნაცვლად ლუის ვატუნდა დანიშნა. მუკებას ნაკრებიდან წასვლის მიზეზი კონგოელთა ყოვლად უსუსური თამაში ყოფილა. ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდს თურმე ოთხი თვეა, ოფიციალური მატჩი არ მოუგია.

რუსმა თავდამსხმელმა დმიტრი რადჩენკომ ამომავალი მზის ქვეყნიდან კვლავაც ევროპას მიაშურა და სამშაბათს სპლიტის „ჰაიდუკთან“ გააფორმა კონტრაქტი. მოსკოვის „სპარტაკის“, ესპანური „დეპორტივოსა“ და იაპონიის „ჯუბილო ივატას“ ფეხბურთელმა მიზეზად კვლავაც „ბებერ კონტინენტზე“ წაბურთავების სურვილი დაასახელა. „ჰაიდუკი“ ზუსტად ის კლუბია, ახალგაზრდულ წლებს რომ გამახსენებსო.

ფრანგულმა „ლიონმა“ ლონდონურ „ფულემში“ გადასულ სტივ მარლეში აღებული თანხით ჩემპიონ „ნანტს“ მიუკაკუნა, 80 მილიონი ფრანკი გადაუხადა და 28 წლის ნახევარმცველ ერიკ კარიერს ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. კარიერი დღეს სამედიცინო შემოწმებას რომ გაივლის, სრულფასოვანი ლიონელიც მაშინ გახდება.

ბრაზილიელი თავდამსხმელი ელპიდიუ ბარბოსა კონსეისაუ, იგივე დილი ფრანგული „მარსელიდან“ შვეიცარიულ „სერვეტში“ გადავიდა. დილი საფრანგეთის საპორტო ქალაქში ბრაზილიურ კლუბ „გოიასიდან“ ჩავიდა, თუმცა გუნდში ფეხი ვერ მოიკიდა და შვეიცარიასაც ამიტომ მიაშურა. ვარაუდობენ, რომ „მარსელი“ მის სანაცვლოდ კიდევ ერთ ბრაზილიელს შეიძენს და იგი ანდრე ლუიში იქნება.

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ყველაზე
გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!

ბინაზე პირველი 1 თვით, 2 თვით, 3 თვით, 6 თვით, 12 თვით.

98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მოგილი“

US OPEN **ამერიკის ღია პირველობა 2001** US OPEN

გამოხშირვა გრძელდება
დიდების გაკვეთილები პატარებს

REUTERS ნიუ იორკიდან

ჯენიფერ კაპრიატის გამარჯვება არ გასჭირვებია

დიდი სლემის ტურნირები უდავოდ ყველაზე პრესტიჟული საჩოგბურთო ასპარეზობებია, მაგრამ ერთი ნაკლი მაინც აქვთ — ნამდვილ პაექრობებამდე ლოდინია საჭირო, რადგან პირველობის საწყისი ეტაპი უფრო გამოხშირვის პრინციპით მიმდინარეობს. იგებენ ისინი, ვინც უნდა მოიგონ. ფავორიტები აუტსაიდერებს, შეიძლება ითქვას, გაკვეთილს უტარებენ. ძალიან იშვიათად, რომ პირველ-მეორე წრიდან რომელიმე განთესილი გამოვარდეს.

ამ მხრივ არც აშშ-ის ღია პირველობაა სხვაგვარი. ტურნირზე განთესილებს, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, მეორე დღეს პირველი წრის გადალახვა არ გასჭირვებიათ, თუმც აქვე უნდა ითქვას, რომ ამ გამონაკლისებიდან ფავორიტთა შორის არავინ მოიაზრებოდა. ერთადერთი, ვისი სახელიც რამეს გვეუბნება, ეს მერვე ნომრად განთესილი ფრანგი სებასტიან გროჟანია, რომელიც არგენტინელ მარიანო საბალეტასთან დამარცხდა 6:4, 6:3, 6:4.

მარცხს გადაურჩაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ საკმაოდ ოფლის ღვრა კი დასჭირდა პიტ სამპრასს. სხვა „დიდი ჩოგნებისგან" განსხვავებით, პისტოლ პიტმა ყველაზე დიდხანს დაჰყო კორტზე. ფრანგ ჟულიან ბუტესთან პაექრობისას პირველი სეტის მოგების შემდეგ მდგომარეობა გაირთულა და საქმე ტაიბრეიკებამდე მიიყვანა, დაძაბულობით კი მესამე სეტი გამოირჩეოდა. მატჩს ისეთი პირი უჭირდა, რომ ცენტრალურ კორტზე თავშეყრილი მაყურებლები უკვე მეოთხე სეტისთვის, შესაძლოა უფრო მეტისთვისაც, ეშზადებოდნენ, მაგრამ ამერიკელმა ბოლო სეტში საათნახევრიანი ჯახის შემდეგ, როგორც იქნა, უტიტულო ფრანგი დაამარცხა და არტურ ეშის კორტზე მისმა ქომაგებმაც ამოისუნთქეს — 6:4, 7:6(7:4), 7:6(8:6). არადა, დროზე რომ არ დაეღწია თავი ხიფათისთვის, 1993 წლიდან მოყოლებული ეს იქნებოდა ერთადერთი წელი, როდესაც იგი სეზონს „ოუფენის" ტიტულის გარეშე დაასრულებდა. ეგ კი არა, ზოგი იმაზეც ალაპარაკდა, სამპრასის კარიერა დღეებს ითვლისო, ამის მიზეზს კი მის ბოლოდროინდელ წარუმატებლობებში ხედავენ.

მართლაც, შარშანდელი უიმბლდონის შემდეგ პისტოლ პიტი ყველა ტურნირს თავჩაქინდრული ტოვებდა. აკი მეათე ჩოგნობამდეც კი ჩამოქვეითდა. ნიუ იორკშიც მეათე ნომრადაა განთესილი, რაც 1990 წლიდან მოყოლებული, მისი ყველაზე უარესი მაჩვენებელია. მართალია, მაშინ მე-12 ნომრად იყო განთესილი და აშშ-ის „ოუფენის" პირველი ტიტულიც მოიპოვა, მაგრამ წარმატებებს ნაჩვევი მისი გულშემატკივრები თავიანთი კერპისგან მეტს მოითხოვენ.

ბოლო ათი წლის განმავლობაში 13 დიდი სლემის მომგები მაინც მშვიდადაა და ამბობს, არსად წასვლას არ ვაპირებო. იმავე დროს ყველას სიმშვიდისკენ მოუწოდებს. „თუ დავმარცხდები, უბრალოდ, ეს ერთი წარუმატებელი წელი იქნება. ამაზე არ ვწუხვარ, რადგან კიდევ დიდხანს ვაპირებ თამაშს. დარჩენილი კარიერის განმავლობაში ყველა დიდი სლემის ტურნირზე გამოსვლა მსურს. ასე რომ, არაფერია საგანგაშო იმაში, თუ „ოუფენს" ვერ მოვიგებ. მომდევნო წლებში მე ისევ დავბრუნდები და ჩემს სათქმელს ვიტყვი. ამის გაკეთება მაშინაც შეიძლება, როდესაც 30 წლის ხარ.

მე ახლა ისეთივე თავდაჯერებული ვარ, როგორც შარშან და იმის წინა წლებში. ერთადერთი სხვაობა ისაა, რომ წლეულს უიმბლდონის მოგება მსურდა და თუ ვერ მოვიგე, კარიერას მაშინ დავასრულებ, როდესაც მივხვდები, რომ მეიჯორებზე პაექრობები და ჩოგბურთის თამაში აღარ მსიამოვნებს. აი, როდის იქნება წასვლის დრო. ეს დღე კი ძალიან შორსაა. მე კვლავაც მსიამოვნებს თამაში" — იმედიანადაა სამპრასი.

მანამ მრავლისმომგები სამპრასი კორტებს გამოეთხოვება, კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის. მანამდე ამერიკელებს სამპრასისა და აგასის მემკვიდრეც კი შეურჩევიათ. ამერიკული ჩოგბურთის მომავლად შერაცხული, მეთვრამეტედ განთესილი ენდი როდიკი 121-ე ჩოგნის — ჩეხი სლავა დოსედელის ძლევით (6:4, 6:1, 6:2) მეორე წრეში გასულ სახელოვან თანამემამულეს შეუერთდა და აშშ-ის ღია პირველობის ოთხგზის ჩემპიონზეც კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

„ხალხს ის აინტერესებს, თუ ვინაა ამერიკული ჩოგბურთის მომავალი. მე და ანდრეს (აგასი) ასაკი გვემატება. ახალი ჩემპიონის ძიებაში ვართ. ამიტომაცაა ენდის მიმართ ესოდენ დიდი ყურადღება მიპყრობილი" — განაცხადა სამპრასმა, რომელიც თავადაც ყოფილა როდიკის მსგავს სიტუაციაში, როდესაც ჯონ მაკენროი და ჯიმი კონორსი კარიერას ასრულებდნენ.

„ბებრებზე" ერთი-ორი სიტყვა თავად როდიკმაც თქვა: „არა მგონია, პიტის და ანდრეს ვარსკვლავი მინავლულიყოს. ასე რომ იყოს, აქ არ იქნებოდნენ. ისინი არსად წასვლას არ აპირებენ". აი, რას ფიქრობს ახალგაზრდებს შორის შარშანდელი აშშ-ის ღია ჩემპიონატის გამარჯვებული, რომელიც დღეს 19 წლის გახდა.

ვაჟებისგან განსხვავებით, ამერიკელ ქალ ჩოგბურთელთა შორის მემკვიდრის ძიება არაა საჭირო. იანკეებს აქ უკეთესი მდგომარეობა აქვთ. წლეულს პირველი სამი „მეიჯორის" მომგებნი, ვინუს უილიამსი და ჯენიფერ კაპრიატი, როგორც მოსალოდნელი იყო, მეორე წრეში ნარნარით გავიდნენ.

ვინუს უილიამსმა ტიტულის დაცვა 109-ე ჩოგნის, სლოვაკი ლენკა დლჰოპოლჩოვას რბევით დაიწყო — 6:2, 6:3. უილიამსების ოჯახის ამ თვალსაჩინო დიაცმა 17 წლის სლოვაკ ლენკას 52 წუთში საჩოგბურთო გაკვეთილი ჩაუტარა. ამ მხრივ თინეიჯერ ჩოგბურთელს მართლაც გაუმართლა, მაგრამ მარცხი მარცხია, თუნდაც დიდი სლემის ტურნირზე პირველად ასპარეზობდე. სხვაგვარად ჩოგბურთის უმაღლეს ლიგაში შესვლა წარმოუდგენელია. იქ ან უილიამსებს გადაეყრები, ან დევენპორტს, ან ჰინგის, ან კაპრიატს. ასე რომ, დებიუტშივე ვინუსთან მარცხითაც შეიძლება გამოცდილების შეძენა.

თავად უიმბლდონის ჩემპიონი კი კმაყოფილი იყო იმით, რომ შეხვედრამ ყოველგვარი გართულებების გარეშე ჩაიარა. „რთული მატჩების გადატანა აღარ მსურს, განსაკუთრებით წინა კვირის მსგავს შეხვედრებს აღარ ვისურვებდი. მაშინ არაერთი მძიმე პაექრობა გადამხდა. ახლა მინდა, ეს კვირა გაცილებით მშვიდად დავიწყო. მართალია, ისეთი შეცდომები დავუშვი, რომელთაც სამომავლოდ არ ვისურვებდი, მაგრამ ახლა ყველაფერი უკეთაა" — გასულ კვირას ნიუ ჰეივენში გადატანილი დაძაბული პაექრობების შემდეგ სიმშვიდეს ეძებს უილიამსი. მართლაც ნიუ ჰეივენის ტურნირის მოსაგებად მას ჟიუსტინ ენინის, ჯენიფერ კაპრიატისა და ლინდსი დევენპორტის ერთმანეთის მიყოლებით დამარცხება მოუხდა. ახლა კი მეოთხედ განთესილმა ვინუსმა სლოვაკზე გამარჯვებით თითქოს შვება იგრძნო, თუმც მის მიმართ თბილი სიტყვები არ დაუშურებია.

„მე იგი აქამდე არასდროს მენახა. კარგი მოთამაშეა. ის მაშინაც კი მედგრად იდგა, როდესაც მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო" — ლენკას სულისკვეთებას აფასებს ვინუსი.

გამარჯვება არც ჯენიფერ კაპრიატის გასჭირვებია. მეორედ განთესილმა ამერიკელმა მესამე დიდი სლემის მოსაგებად ჰოლანდიელი ამანდა ჰოპმანისი დაამარცხა — 6:2, 6:1. ავსტრალიისა და საფრანგეთის „ოუფენების" მომგები მთელ შეხვედრას აკონტროლებდა და არტურ ეშის განათებულ კორტზე 142-ე ჩოგანს გასაქანს არ აძლევდა. „ვფიქრობ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მართლაც მშვენივრად გავისარჯე. მოხარული ვარ, რომ კორტზე გავედი და საღამოს განათებულ მოედანზე თამაშს ალღო მალევე ავუღე" — გვამცნობს მსოფლიოს მეორე ჩოგანი.

მისი თამაშის შემხედვარე კი ვერაფრით იფიქრებდა, რომ განათებულ მოედანზე ასპარეზობას შეჩვეული არ იყო. ერთადერთ შეცდომად, რომელიც მან მატჩისას დაუშვა, მეორე სეტის პირველი მოწოდება შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც ჰოპმანსმა კაპრიატს აართვა. თუმც ეს იყო და ეს. მეორე სეტში საინტერესო ის გახლდათ, რომ შეიძლებოდა, ტურნირის ორგანიზატორებს მატჩი დროზე ადრე შეეწყვიტათ.

საქმე ისაა, რომ სტადიონზე განთავსებული ჰამბურგერის ჯიხურიდან თეთრი კვამლი წამოიმართა და ზედა იარუსს უწია. მიუხედავად ინციდენტისა, ნიუიორკელ ფანებს კორტიდან ფეხი არ მოუცვლიათ. ან კი როგორ მოიცვლიდნენ ფეხს, როდესაც კაპრიატს მხურვალედ ქომაგობდნენ.

პირველი წრის ასპარეზობებიდან საინტერესო იყო განთესილთა გავარდნა. თუ ვაჟ ჩოგბურთელთაგან ერთადერთი გამოეთიშა „ოუფენს", ქალებმა ორი განთესილი მოიაკლისეს. მეთექვსმეტედ განთესილი იტალიელი სილვია ფარინა ელია სლოვენიელ მაია მატევჟიჩთან დამარცხდა — 6:2, 6:4. იტალიელის ბედი გაიზიარა მისივე თანამემამულემ, ოცდამეთორმეტედ განთესილმა ფრანჩესკა შავონმაც. აპენინელმა ესპანელ ვირხინია რუანო პასკუალს ვერაფერი დაუპირისპირა.

გიგა გურასაშვილი

პირველი წრე

ვაჟები

ტომას იოანსონი (14, შვედეთი) — გერმან პუენტესი (ესპანეთი) 6:1, 6:2, 6:2; ლეიტონ ჰიუიტი (4, ავსტრალია) — მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) 6:3, 6:2, 7:5; ხუან კარლოს ფერერო (5, ესპანეთი) — არნო დი პასკუალი (საფრანგეთი) 1:6, 6:3, 2:6, 7:6 (7:2), 6:0; ევგენი კაფელნიკოვი (7, რუსეთი) — მიშელ კრატოხვილი (შვეიცარია) 1:6, 6:1, 5:7, 6:4, 6:4; მარიანო საბალეტა (არგენტინა) — სებასტიან გროჟანი (8, საფრანგეთი) 6:4, 6:3, 6:4; პიტ სამპრასი (10, აშშ) — ჟულიან ბუტე (საფრანგეთი) 6:4, 7:6 (7:4), 7:6 (8:6); ალეძს პორეიზა (11, ესპანეთი) — რაემონ სლუიტერი (ჰოლანდია) 7:6 (7:4), 6:7 (4:7), 6:4, 6:2; როჯერ ფედერერი (13, შვეიცარია) — ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) 6:4, 6:4, 6:4; ენდი როდიკი (18, აშშ) — სლავა დოსედელი (ჩეხეთი) 6:4, 6:1, 6:2; იან-მაიკლ გეგენი (20, აშშ) — სერჯიო პიოლინი (საფრანგეთი) 6:2, 6:2, 6:4; ალბერტ პორტასი (25, ესპანეთი) — კრისტიანო კარატი (იტალია) 6:1, 6:4, 7:6 (7:4); ჰიროკი არაზი (მაროკო) — აგუსტინ კალეირი (იტალია) 6:3, 6:3, 4:6, 5:7, 6:3; ბრეტ რუზიეცკი (30, დიდი ბრიტანეთი) — იუნეს ელ აინაუი (მაროკო) 6:7 (4:7), 7:5, 6:4, 6:3; ნიკოლა ესპუიო (31, საფრანგეთი) — ჰიუნგ ტაიკლი (კორეა) 6:2, 6:1, 6:2; ტოდ მარტინი (32, აშშ) — მაიკლ რასელი (აშშ) 6:4, 6:4, 7:5; ჯეიმს ბლეიკი (აშშ) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:3, 6:4, 6:2; ჯეკ ბრეზნიანტონი (აშშ) — ჯანლუკა პოცი (იტალია) 6:3, 6:4, 2:6, 3:6, 7:6 (8:6); მიხაილ იუჟნი (რუსეთი) — ბოჰდან ულიჰანი (ჩეხეთი) 6:7 (5:7), 6:2, 6:3, 6:3; მიოროგ პაუტლი (შვეიცარია) — დავიდ პრინოშილი (გერმანია) 6:4, 6:2, 6:4; ანდრეი სტოლიაროვი (რუსეთი) — მარკ როსე (შვეიცარია) 6:2, 7:6 (7:5), 7:5; ფერონ გოლმარი (საფრანგეთი) — სირილ სულნიე (საფრანგეთი) 7:5, 3:6, 6:3, 6:4; ტომი რეზარეზო (ესპანეთი) — ოლივიე როშიუ (ბელგია) 7:6 (7:4), 6:2, 7:6 (7:5); ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) — უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) 4:6, 6:3, 7:6 (7:5), 1:6, 6:4; დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) — ალექს ბოგომოლოვი (აშშ) 6:1, 3:6, 6:4, 6:4

ქალები

ვინერ-ჰარბაუსა (ინდონეზია) — გრეტა არნი (გერმანია) 6:1, 6:0; ჰენ ჭლაისტერსი (ნ, ბელგია) — პავლინა ნოლა (ახალი ზელანდია) 6:1, 6:1; სანდრინ ტესტუ (18, საფრანგეთი) — ნინა დიუბერსი (გერმანია) 6:3, 6:2; ირიდა ტულიაგანოვა (22, უზბეკეთი) — მარტა მარეროო (ესპანეთი) 6:1, 6:4; მაია მატევეიჩი (სლოვენია) — სილვია ფარინა ელია (16, იტალია) 6:2, 6:4; ალისია მოლიკი (ავსტრალია) — ბეთანი მატეკი (აშშ) 4:6, 6:2, 6:4; ელისონ გრეიდუუ (აშშ) — კატალინა კასტანო (კოლუმბია) 6:7 (3:7), 7:6 (7:5), 6:3; ლაიზა რეიმონდი (30, აშშ) — ანა სმაშნოვა (ისრაელი) 6:2, 6:3; იანა ნეიედლი (კანადა) — ანაბელ მედინა გარიგესი 6:2, 6:1; ჯენიფერ ჰოპკინსი (აშშ) — სანდრა კასიკი (აშშ) 7:5, 6:4; ბალა ლეონ გარსია (ესპანეთი) — რიტა კუტი კისი (უნგრეთი) 4:6, 7:5, 6:1; ვაგდალენა ვალეევა (15, ბულგარეთი) — კვეტა პრდლიჩკოვა (ჩეხეთი) 6:2, 6:1; ანკე ჰუბერი (17, გერმანია) — მარია ემილია სალერნი (არგენტინა) 6:2, 6:4; ჩანდა რუბინი (28, აშშ) — იანა კანდარი (გერმანია) 6:4, 3:6, 6:3; ელენა დემენტიევა (11, რუსეთი) — ჩო იუნ ჯონგი (კორეა) 6:3, 7:5; ადრიანა გერში (ჩეხეთი) — ელენა ბოვინა (რუსეთი) ითან, 6:2; ვინუს უილიამსი (4, აშშ) — ლენკა დლჰოპოლჩოვა (სლოვაკეთი) 6:2, 6:3; ნატალი ტეზიეა (9, საფრანგეთი) — კარა ბლეკი (ზიმბაბვე) 4:6, 6:3, 6:2; ვირჯინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) — ფრანჩესკა შავონე (32, იტალია) 6:1, 6:3; კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) — ემანუელ გალიარდი (შვეიცარია) 5:7, 6:4, 7:6 (7:2); ჟეილენ ტუ (აშშ) — ეზლი ჰარკლროუდი (აშშ) 6:4, 2:6, 6:0; ჰენრიეტა ნაგი

ესეც ალპები და ოლიმპიური დედაქალაქი

(დასაწყისი იხ. №159)

მართალია, მსოფლიოს ალპინიზმის დაბადების დღედ ითვლება 1786 წლის 8 აგვისტო, როცა მონბლანზე ფრანგები ბალმა და პაკარი ავიდნენ, მაგრამ ამ საქმეში მთავარი დამსახურება შვეიცარიელ სოსიურს მიუძღვის. როგორც ვნახეთ, სწორედ სოსიურმა შეაგულიანა პირველამსვლელნი და ამ საქმის ინიციატორადაც მოგვევლინა, ერთი წლის მერე კი თავადაც დალაშქრა მონბლანი.

სოსიურის იმ თაოსნობასა და მის ლაშქრობაზე მთელი ევროპა ალაპარაკდა და მის ფარგლებს მიღმაც ბჭობდნენ, როგორც „ყველა დროის არაჩვეულებრივად გაბედულ ღონისძიებაზე". ეს ამბავი უეჭველად ხელს შეუწყობს მთების შესწავლასო, წინასწარმეტყველებდნენ ისინი. მართლაც, ალპებს უამრავი ხალხი მიაწყდა. ბევრი მათგანი ასვლას ჩვეულებრივი სამოსით ცდილობდა. ამ მხრივ განსაკუთრებით ქალბატონები გამოირჩეოდნენ. ისტორიამ შემოგვინახა მათი ალპური ციებ-ცხელების ამსახველი წერილობითი მასალებიცა და მხატვართა ჩანახატებიც — ნაპრალებიან ყინვარებზე მიმავალ ქალბატონებს ვხედავთ ჩვეულებრივ, კოჭებამდე გრძელ ქვედაკაბებში, მაღალქუსლიან ფეხსაცმელებში, მოდური შლიაპებითა და ქოლგებითაც თავს რომ გვაწონებენ. ეტყობათ, მათ წარმოდგენაც არა აქვთ მოსალოდნელ ხიფათზე, არც თოკის გამოყენების შესაძლებლობისა გაეგებათ რამე. იმ პიონერთა მცირე ნაწილი მიზანს მართლაც აღწევდა, ოღონდ იოლად დასამორჩილებელ მწვერვალებზე. ცხადია, ბევრიც იღუპებოდა.

ასე იყო თუ ისე, თანდათან ალპინიზმი ალპებს გასცდა და მთელს მსოფლიოს მოედო.

გამართლდა წინასწარმეტყველებაც, მონბლანზე ასვლა უეჭველად ხელს შეუწყობს მთების შესწავლასო. ამაში უდიდესი როლი შეასრულა მთის მოყვარულთა ორგანიზაციების დაფუძნებამ, რომლებიც ალპური კლუბების ფორმით ჩამოყალიბდა. მათ შორის ერთ-ერთი უძველესია შვეიცარიის, რომელიც 1863 წელს დაფუძნდა. ჩვენი მკითხველისთვის განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ სულ რაღაც ხუთიოდე წლის მერე თბილისშიც დაარსდა ამგვარი კლუბი და შეიმუშავეს წესდებაც, რომელიც ხელისუფლებამ 1877 წელს დაამტკიცა.

მთების შესწავლას დიდად შეუწყო ხელი 1932 წელს შვეიცარიაში ალპური კვლევის ინსტიტუტის ჩამოყალიბებამაც. იგი შვეიცარიის ეროვნული ალპური კლუბის მთამსვლელებთან ერთად აწყობდა დიდ ექსპედიციებს, რომლებიც ალპების გარდა მთელი მსოფლიოს მთებში ატარებდა ლაშქრობებს და სამეცნიერო კვლევა-ძიებებს. იგი საჭიროების შემთხვევაში ზოგიერთი საკანონმდებლო ღონისძიების მიღების ინიციატორადაც გამოდიოდა.



ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

ასე მოჩანს მატერჰორნი მანუარ დე-ბანიდან

ყოველივე ამის შედეგად მთამსვლელებმა, შეიძლება ითქვას, ალპები კიდით-კიდემდე გადათელეს. მათ არც მთელს დედამიწაზე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მწვერვალი დატოვეს დაულაშქრავი, მაგრამ მონბლანზე ის პირველი ასვლა მაინც ყველას ახსოვს და მასზე დღესაც მიილტვიან მთამსვლელები.

ყოველივე ამის გამო 1986 წელს დიდი ზეიმით აღნიშნეს ალპინიზმის 200 წლისთავი.

ზეიმის დღეებში გაიხსენეს მონბლანის რეკორდსმენებიც. მათ შორის სპრინტერ-ალპინისტები ტიერი გაზანი და პიერ კიუზენსი, რომლებმაც შამონის მოედნიდან მონბლანზე გავარდნას და სტარტის ადგილზეც კისრისტეხით დაბრუნებას ფანტასტიკურად მცირე დრო — 7 საათი, 56 წუთი და 30 წამი მოანდომეს.

გაიხსენეს ორი ჰოლანდიელი შერეკილიც, რომლებიც მონბლანზე ველოსიპედებით ავიდნენ; გაიხსენეს კიდევ ერთი თავზეხელაღებული ფრანგი, მონბლანიდან თხილამურებით რომ დაეშვა, რაც წონაში ათი კილოგრამის დაკლებად დაუჯდა.

შამონიში, მონბლანზე ასვლის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის მონაწილეთა შორის ერთ-ერთი უპოპულარესი ადამიანი ფრანგი მთამსვლელი და გამყოლი რენე კლარე-ტერნიე იყო. ამ სამოცდაათი წლის კაცს თავისებური რეკორდი დაუმყარებია — მონბლანზე 520-ჯერ ასულა, ამიტომაც

ესეც მატერჰორნი, ოღონდ ახლოდან

დასდევდნენ ჟურნალისტები ფეხდაფეხ.

— ალპების თითქმის ყველა მწვერვალზე ავედი — ამბობს ტერნიე, — მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი მონბლანია, საიდანაც ხლაპრული სანახაობა იშლება. თანამედროვე საჭურვლის დახმარებით მწვერვალებზე ასვლა გაცილებით გაიოლდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ალპინიზმი ხელწამოსაკრავი გახდა. მთაში ყოველთვის მიმართლებდა, თითიც არ მიღრძვია, მაგრამ „სიმაღლიდან" ჩამოვარდნა თურმე საკუთარ ბაღში მეწერა ბედად — ვაშლის ხიდან ჩამოვვარდი.

„დასავლეთ ევროპის სახურავზე" ახლა ალპინისტებიც ადიან და ისინიც, ვინც მწვერვალზე არასოდეს ყოფილან, მაგრამ ტერნიეს თქმისა არ იყოს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მონბლანმა ქედი მოიხარა. მის ფერდობებზე ყოველწლიურად საშუალოდ 40 კაცი იღუპება. მათ შორის „ნამდვილი" მთამსვლელებიც.

* * *

ოლიმპიურ დედაქალაქში ალპინიზმის სამშობლოს მთების ფონზე მოფრიალე ხუთრგოლიან დროშებს რომ გავაცქერი, ფიქრები ახლა მატერჰორნს დასტრიალებს. შვეიცარიის და საერთოდ ალპების ამ ულამაზესი და ერთ-ერთი ურთულესი მწვერვალის შესახებ ბევრი [illegible] გუშინ კი-ბირვალად ვხედავ, როცა შამონიდან [illegible] ელჩის თანამგზავრებმა, [illegible] ავტომობილით 20-30 წუთის სავალზე ჩარლი ჩაპლინის სახლ-კარი დაგვათვალიერებინეს. მისი ვეება მამული მანუარ დე-ბანში, ვევეს ცოტა ზემოთ, სოფელ კორსიეში მდებარეობს.

მამულს „ირგვლივ [illegible]ბული მაღალი ხეები არტყია, შ[illegible] კი მთები და ტბა მოჩანს", — ასე ძუნწად აღწერს ჩარლი ჩაპლინი თავის ედემის ბაღივით მამულის შემოგარენს.

იქიდან, განსაკუთრებით სოფლის ცოტა ქვემოდან, ზღაპრული სანახავია მატერჰორნი, რომელსაც კაცი თვალს ვერ მოსწყვეტს.

ამ მწვერვალს ფრანგები ლე ჩერვინს უწოდებენ, იტალიელები ჩერვინოდ მოიხსენიებენ, მაგრამ თამამსვლურ ლიტერატურაში უფრო მისი გერმანული სახელწოდება — მატერჰორნია გავრცელებული.

ამ მწვერვალს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ალპინიზმისა და ოლიმპიზმის ისტორიაშიც. მთამსვლელობის ისტორია თუ მონბლანზე ლაშქრობით დაიწყო, მატერჰორნზე ასვლა სპორტული ალპინიზმის განვითარების სათავედ ითვლება.

მაშინ, 1865 წელს მატერჰორნზე ინგლისელ ედვარდ უიმპერის მეთაურობით პირველნი ავიდნენ მისი თანამემამულენი — ლორდი ფრენჩ დუგლასი, დუგლას ჰადოვი, ფრანგი მიშელ გროზი და გვარსახელით ორი სეხნია — შვეიცარიელები, პეტერ ტუგვალდეები.

მათი გზა მატერჰორნის უმაღლესი წერტილისკენ გადიოდა ციცაბო, ძნელად დასაძლევ ქედზეც, მის კლდოვან კედლებზეც, რომლის ბზარები ბევრგან ყინულით იყო ამოვსებული. მათი დაძლევა მთამსვლელთაგან დღესაც დიდ გამოცდილებასა და ოსტატობას მოითხოვს, მაშინ კი სრულიად ახალი სიტყვა იყო ალპინიზმის ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ უიმპერის შვიდკაციანი გუნდის წევრთაგან ნახევარზე მეტი — ოთხი მთამსვლელი დაიღუპა, მათი ლაშქრობა უდიდეს მიღწევად შეფასდა და სამართლიანად ითვლება ჭეშმარიტად სპორტული ასვლების სათავედ.

1932 წელს მატერჰორნი ოლიმპიზმის ისტორიაშიც შევიდა. მაშინ შამონის პირველ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე მთამსვლელ ფრანც შმიდს ორი ოლიმპიური ოქრო გადასცეს, ერთი — მისთვის განკუთვნილი, მეორე — დაღუპული ძმისთვის.

ეს ჯილდოები ძმებმა ფრანც და ტონი შმიდებმა მატერჰორნზე ასვლისთვის დაიმსახურეს, თუმცა თამამსვლელობა არც შამონის და არც სხვა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში არ ყოფილა, მაგრამ ძმების განსაკუთრებული დამსახურება, როგორც გამონაკლისი, ოლიმპიური ოქროთი აღნიშნეს ისევე, როგორც 1924 წელს დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე მოწყობილი ექსპედიციის მეთაურ ინგლისელ ჩარლზ ბრიუსისა.

ძმებმა მატერჰორნზე ლაშქრობა 1932 წელს ჩრდილოეთის მხრიდან განახორციელეს. მანამდე არავის ეგონა, მწვერვალის იმ 1200-მეტრიანი შვეული კედლის დაძლევა შესაძლებელი თუ იყო. ასე რომ, ძმებმა იმ დროისთვის შეუძლებელი შეძლეს.

ტონი შმიდი ოლიმპიური ოქროს მედლით დაჯილდოებამდე ცოტა ხნით ადრე მთაში დაიღუპა.

შეგახსენებთ, ოლიმპიური ოქროს მედლებით მთამსვლელთა კიდევ ერთი წყვილი დაჯილდოვეს. ეს მოხდა 1936 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც მსგავსი პატივი შვეიცარიელ ცოლ-ქმარს ჰეტი და გიუნტერ ოსკარ დირენფურტებს მიაგეს. ოღონდ მათ მშობლიურ მთებში ლაშქრობისთვის [illegible] არა, შორეულ ყარაყორუმზე, ბალ[illegible]როსა და სია კანგრის მწვერვალებზე სარეკორდო ასვლებისთვის დაიმსახურეს ოლიმპიური მედლები.

ახლა კვლავ დავუბრუნდეთ ალპებს და იქ ქართველთა ლაშქრობებიც გავიხსენოთ, თუმცა უმჯობესია ამას ცალკე თავი მივუძღვნათ და ჩვენი წერილების სერიალის მომდევნო გამოშვებაში გიამბობთ.

მიშელ გროზი, დუგლას ჰადოვი, ჩარლზ ჰადსონი, ლორდი ფრენჩ დუგლასი, პეტერ ტუგვალდი, ედვარდ უიმპერი, პეტერ ტუგვალდი. ამ ჯგუფის ტრაგედია ასე ასახა შატლარმა

ავთანდილ გურასაშვილი
ლოზანა-ბინილისი

(გაგრძელება იქნება)

სარბიელი
სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა,
კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან,
ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41
ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16
(ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.
რუსთავში — შარტავას ქუჩა №7
ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23
ბათუმში — მემედ აბაშიძის
(ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113,
ფიროსმანის ქუჩა №7
ქობულეთში — აღმაშენებლის ქუჩა №106
მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39
გურჯაანში — დავით გურამიშვილის ქუჩა №28

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). VI ტური

31 აგვისტო

22.30	001	ოსნაბრიუკი-აუე	1,65	3,3	4,7

1 სექტემბერი

17.00	002	ქემნიცი-მუნსტერი	1,6	3,4	5,0
17.00	003	ლიუბეკი-ბრაუნშვაიგი	1,9	3,1	3,6
17.00	004	ფერლი-ლევერკუსენი (მ.)	1,65	3,3	4,7
17.00	005	დრეზდენი-ვერდერი (მ.)	1,8	3,2	3,8
17.00	006	ურდინგენი-კილი	1,4	3,8	7,0
	007	ურდინგენი-კილი 0:1	2,0	3,0	2,4

2 სექტემბერი

17.00	008	მაგდებურგი-ვატენშაიდი	2,5	3,0	2,5
21.00	009	ესენი-დიუსელდორფი	1,5	3,5	6,0

გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). VI ტური

1 სექტემბერი

17.30	011	რეგენსბურგი-ელვერსბერგი	1,75	3,2	4,0
18.00	012	კიკერსი-მანჰაიმი	2,1	3,0	3,3
18.00	013	დარმშტადი-ვეჰენი	2,1	3,1	3,2
18.00	014	ჰოფენჰაიმი-აალენი	2,0	3,2	3,3

2 სექტემბერი

18.00	015	კაიზერსლ.(მ.)-ბურგჰაუსენი	3,4	3,1	2,0
20.00	016	ზიგენი-ფულდა	1,55	3,4	5,6
21.00	017	ოფენბახი-ტრირი	1,9	3,1	3,6

ინგლისი. I დივიზიონი. V ტური

1 სექტემბერი

17.30	019	გრიმსბი-ბარნსლი	2,0	3,1	3,4

2 სექტემბერი

19.00	020	ბრედფორდი-ბარნლი	1,65	3,3	4,7

ინგლისი. II დივიზიონი. V ტური

30 აგვისტო

23.45	022	ქუინს პარკი-ბრისტოლი	2,1	3,1	3,2

31 აგვისტო

23.45	023	ნორთჰემპტონი-ბრაიტონი	2,6	3,1	2,4

1 სექტემბერი

19.00	024	კემბრიჯი-ბორნმუთი	2,2	3,1	3,0
18.00	025	ჩესტერფილდი-პიტერბრო	2,1	3,2	3,1
19.00	026	პორტ ვეილი-რედინგი	2,4	3,1	2,6
19.00	027	სუინდონი-კოლჩესტერი	2,3	3,0	2,9
19.00	028	ტრანმერი-ოლდემი	1,9	3,1	3,6

2 სექტემბერი

22.15	029	ჰადერსფილდი-უიკომბი	1,65	3,2	5,0

ინგლისი. III დივიზიონი. V ტური

1 სექტემბერი

16.00	031	კარლაილი-როჩდეილი	2,8	3,1	2,3
17.00	032	საუთენდი-ლეიტონი	2,0	3,2	3,3
19.00	033	როვერსი-შრიუსბერი	1,5	3,5	6,0
19.00	034	ჩელტენემი-ტორკი	1,7	3,3	4,2
19.00	035	ექსეტერი-ლუტონი	3,3	3,2	2,0
19.00	036	კიდერმინსტერი-მენსფილდი	2,0	3,1	3,4
19.00	037	ლინკოლნი-დარლინგტონი	2,3	3,2	2,7
19.00	038	მაკლსფილდი-სკანთორპი	2,3	3,1	2,8
19.00	039	ოქსფორდი-რაშდენი	2,2	3,2	2,9
19.00	040	იორკი-ჰალიფაქსი	1,8	3,1	4,0

ესპანეთი. II დივიზიონი. II ტური

1 სექტემბერი

20.00	083	ფეროლი-მურსია	2,2	2,8	3,3
21.30	079	ეიბარი-ატლეტიკო	2,9	3,0	2,3

2 სექტემბერი

22.30	080	ესტრემადურა-სერესი	1,6	3,1	6,0
23.00	081	ბურგოსი-ხიმნასტიკი	1,85	3,0	4,0
22.00	082	ხაენი-ეხიდო	1,6	3,2	5,6
15.00	084	ლეგანესი-ელჩე	1,9	2,8	4,2
23.00	085	ლევანტე-კორდობა	1,8	2,9	4,4
22.00	086	სალამანკა-ალბასეტე	2,1	2,9	3,4
24.00	087	უელვა-ნუმანსია	2,4	2,8	2,9
21.00	088	სპორტინგი-ბადახოსი	1,7	2,8	5,6
23.00	089	რასინგი-ოვიედო	1,8	3,0	4,2

პორტუგალია. I ლიგა. გადადებული მატჩი

1 სექტემბერი

21.00 090	სანტა კლარა-ალვერკა	2,1	2,9	3,4

ჰოლანდია. II დივიზიონი. III ტური

31 აგვისტო

23.00 091	კამბური-როხენდალი	1,9	3,2	3,5
23.00 092	იგლსი-ემენი	1,75	3,2	4,0
23.00 093	ჰერაკლესი-ექსელსიორი	2,6	3,1	2,4
23.00 094	მაასტრიხტი-ეინდჰოვენი	2,2	3,1	3,0
23.00 095	ტელსტარი-ჰელმონდი	1,9	3,2	3,5
23.00 096	ვენლო-ოსი	2,5	3,2	2,4
23.00 097	დორდრეხტი-ვეენდამი	1,95	3,2	3,4

2 სექტემბერი

17.30 098	ვოლენდამი-ზვოლე	2,3	3,2	2,7
17.30 099	ჰაარლემი-დენ ჰააგი	2,3	3,2	2,7

შვეიცარია. B ჯგუფი. XI ტური.

30 აგვისტო.

22.30 118	ბადენი-ვადუცი	1,85	3,1	3,8

2 სექტემბერი

17.30 119	ვილი-კარუჟი	1,75	3,1	4,2
19.15 120	კონკორდია-კრინსი	2,2	3,0	3,1
19.15 121	ლელემონი-ვინტერთური	2,4	3,1	2,6
19.15 122	ლოკარნო-თუნი	2,7	3,2	2,3
19.15 123	ივერდონი-ბელინცონა	1,85	3,2	3,6

ფინეთი. გადადებული მატჩი

30 აგვისტო

20.30 124	როვანიემი-ჰაკა	3,0	3,1	2,2

პოლონეთი. ლიგის თასი. IV ეტაპი. I წრე.

30 აგვისტო

20.00 156	პოლონია-ოდრა	1,6	3,3	5,3

მერკონორტეს თასი

30 აგვისტო

06.10 505	ბლუმინგი (ბოლივია)-ატლ.ნასიონალი (კოლ.)	2,5	3,0	2,5

შესარჩევი მატჩები

1 სექტემბერი

19.00 506	ირლანდია-ჰოლანდია	2,6	2,9	2,5
19.00 507	ისლანდია-ჩეხეთი	4,0	3,1	1,8
19.00 508	მოლდოვა-აზერბაიჯანი	1,6	3,3	5,3
19.00 509	უელსი-სომხეთი	1,6	3,4	5,0
19.00 510	შოტლანდია-ხორვატია	2,1	3,0	3,3
19.00 511	აშშ-ჰონდურასი	1,6	3,1	5,3
20.45 512	პოლონეთი-ნორვეგია	1,7	3,2	4,4
21.00 513	ფარერები-ლუქსემბურგი	1,35	4,0	7,5
21.00 514	ბელარუსი-უკრაინა	2,8	3,1	2,3
21.00 515	საქართველო-უნგრეთი	ანგარიში – 5,0		
22.00 516	ალბანეთი-ფინეთი	2,8	3,1	2,3
22.15 517	დანია-ჩრდ. ირლანდია	1,25	5,0	9,0
518	დანია-ჩრდ.ირლანდია 0:1	1,75	3,0	3,2
22.30 519	გერმანია-ინგლისი	2,0	3,1	3,4
22.45 520	სლოვაკეთი-თურქეთი	2,5	3,0	2,5
23.00 521	მალტა-ბულგარეთი	9,0	5,0	1,2
23.00 522	მაკედონია-შვედეთი	5,0	3,4	1,6
23.15 523	შვეიცარია-იუგოსლავია	2,5	3,0	2,5
23.15 524	სლოვენია-რუსეთი	2,5	3,0	2,5
23.15 525	ბოსნია-ისრაელი	2,6	3,1	2,4
23.45 526	ლიტვა-იტალია	9,0	5,0	1,25
01.00 527	ანდორა-პორტუგალია	16,0	8,0	1,0
01.00 528	ესპანეთი-ავსტრია	1,25	3,0	9,0
529	ესპანეთი-ავსტრია 0:1	1,75	3,0	3,2
01.00 530	ტრინიდადი-კოსტა რიკა	3,6	3,1	1,9

2 სექტემბერი

02.00 531	იამაიკა-მექსიკა	2,5	[illegible]	2,5

ევროპის ახალგაზრდული (21 წლამდე) ჩემპიონატი

31 აგვისტო

19.00 551	მოლდოვა-აზერბაიჯანი	1,7	3,2	4,4
19.00 552	ლიტვა-იტალია	7,0	3,8	1,35
19.30 553	პოლონეთი-ნორვეგია	2,3	3,2	2,7
20.00 554	სლოვაკეთი-თურქეთი	2,0	3,2	3,3
20.00 555	ბელარუსი-უკრაინა	2,4	3,1	2,6
20.00 556	საქართველო-უნგრეთი	ანგარიში – 5,0		
20.30 557	ალბანეთი-ფინეთი	2,5	3,0	2,5
21.00 558	მალტა-ბულგარეთი	7,5	4,0	1,35
22.00 559	ირლანდია-ჰოლანდია	2,6	3,1	2,4
22.00 560	დანია-ჩრდ. ირლანდია	1,4	3,6	6,5
22.00 561	ისლანდია-ჩეხეთი	4,4	3,2	1,7
22.30 562	შვეიცარია-იუგოსლავია	2,3	3,0	2,9
22.30 563	გერმანია-ინგლისი	1,85	3,2	3,6
23.30 564	უელსი-სომხეთი	2,3	3,2	2,7
23.30 565	შოტლანდია-ხორვატია	2,3	3,0	2,9
01.00 566	ესპანეთი-ავსტრია	1,25	5,0	9,0

1 სექტემბერი

18.30 567	სლოვენია-რუსეთი	2,5	3,0	2,5
19.00 568	მაკედონია-შვედეთი	7,0	3,8	1,4
21.00 569	ბოსნია-ისრაელი	2,5	3,2	2,4

კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი (თურქეთი)

31 აგვისტო

18.45 601	ისრაელი-საფრანგეთი	2,0	12,0	1,5
16.30 602	უკრაინა-ლიტვა	5,0	12,0	1,1
23.15 603	სლოვენია-ესპანეთი	2,5	12,0	1,35
21.00 604	ლატვია-თურქეთი	6,0	12,0	1,07
21.00 605	ხორვატია-იუგოსლავია	2,8	12,0	1,3
18.45 606	ესტონეთი-გერმანია	2,8	12,0	1,3
23.15 607	საბერძნეთი-იტალია	2,0	12,0	1,5
16.30 608	ბოსნია-რუსეთი	6,0	12,0	1,07

ჩოგბურთში ფსონებს გაეცნობით ადგილზე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

1 აგვისტოდან ჯროპო
ხუთშაბათობითაც მუშაობს.
დასვენების დღე
მხოლოდ ორშაბათია.
სამუშაო დღეებია: სამშაბათი,
ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი,

შპს „ჯროპოს“ ადმინისტრაცია

გაფრთხილებთ!

ფოთში, მისამართზე რჯალი 5, მუშაობს თვითმარქვია ტოტალიზატორი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო შპს „ჯროპოსთან“. შესაბამისად, შპს „ჯროპო“ აღნიშნული თვითმარქვია ტოტალიზატორის მუშაობაზე არანაირ პასუხისმგებლობას არ ჯისრულობს და შესაძლო პრეტენზიებს არ განიხილავს.

ფოთში დღესდღეობით „ჯროპოს“ ბიურო არ არსებობს.

არალეგალური საქმიანობა ისჯება საქართველოს მოქმედი ჯანონმდებლობით. შპს „ჯროპოს“ ადმინისტრაცია ჯომპეტენტურ ორგანოებს შესაბამისი რეაგირებისთვის მიმართავს.

ფორმულას პაპა აღარ ჰყავს ტირილი ტირელის გამო

საფორმულო სამყაროს ერთ-ერთი პატრიარქი გამოაკლდა. 78 წლის ასაკში გარდაიცვალა კენ ტირელი, სამეფო რბოლების სახელოვანი ინგლისური გუნდის დამაარსებელი, კაცი, ვინც უდიდესი წვლილი შეიტანა ფორმულა 1-ის განვითარებაში.

კენ ტირელი

იგი ბავშვობიდანვე გაიტაცა ავტოსპორტმა. მართალია, დიდ მრბოლობამდე ვერ მიაღწია, მაგრამ თითქმის ოცდაათი წლისამ მაინც აისრულა ოცნება და რამდენჯერმე გაიქროლა „კუპერით“. ამის შემდეგ კენმა საკუთარი გუნდის შექმნა განიზრახა, ძირითადი სამუშაო — ხე-ტყით ვაჭრობა მიატოვა და მთელი თავისი ავლადიდება ახალ საქმეს მოახმარა.

პირველი „ტირელი“ ტრასაზე 1970 წელს გამოჩნდა. „ძია კენის“ ბოლიდს ჯეკი სტიუარტი მართავდა. სწორედ „მფრინავმა შოტლანდიელმა“ მოუტანა კენ ტირელს ყველაზე დიდი წარმატება და სიხარული — მისი მანქანით ორჯერ (1971, 1973) მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. გარდა ამისა, „ტირელი“ 1971 წელს კონსტრუქტორთა თასსაც დაეუფლა.

მსგავსი მიღწევები გუნდს შემდგომში აღარ ჰქონია. ბოლო დროს ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა, ასაკმომატებულ შეფს სულ უფრო უჭირდა საჯინიბოს შენახვა და 1998 წელს ოკჰემში „ტირელის“ ქარხანა შოტლანდიელ ბიზნესმენ კრეიგ პოლოკს მიჰყიდა. უკვე ორი წელია, განახლებული გუნდი „BAR“-ის სახელით ასპარეზობს.

„ტირელის“ არსებობის 29 წლის მანძილზე მისმა პილოტებმა მონაწილეობა მიიღეს 430 რბოლაში, რაც ფორმულის ისტორიაში მეხუთე მაჩვენებელია, მოიგეს 23 დიდი პრიზი და 711 ქულა დააგროვეს.

კენ ტირელი უკანასკნელ ხანს ბრიტანეთის ავტომრბოლთა კლუბის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა.

გია ახალაძე

შევარდენს ალთაბაევი განვრთნის



ვალერი ალთაბაევი

თბილისი საავიაციო ქარხნის გუნდი „შევარდენი“ არასდროს ყოფილა ხელწამოსაკრავი. ვერც იმას ვიტყვით, ეროვნულ ჩემპიონატში ციდან ვარსკვლავებს წყვეტდაო, თუმცა ყოველთვის ანგარიშგასაწევ ძალას რომ წარმოადგენდა, ქართული კალათბურთის ქომაგს კარგად ემახსოვრება.

შარშანდელი ჩემპიონატი ავიატორებმა არცთუ ისე ურიგოდ დაიწყეს და ექვსეულში მოხვედრაც დიდად არ გასჭირვებიათ. თუმც ცუდი დღეები შევარდენელებსაც დაუდგათ და მაშინ, როცა გადამწყვეტი მატჩების დრო მოვიდა, გუნდი მთავარი მწვრთნელის, სერგო იშხნელის გარეშე დარჩა. თუ რატომ, ამაზე მაშინ ბევრი მითქმა-მოთქმა იყო და ახლა სალაპარაკოდ არ ღირს... გუნდი უმწვრთნელოდ აგრძელებდა ჩემპიონატში ასპარეზობას, თუმც ერთ-ერთმა შევარდენელმა, ვასილ გოგუამ იკისრა გუნდის თავკაცობა და ავად თუ კარგად საავიაციოქარხნელები დინებას მიჰყენენ.

საბოლოოდ ავიატორებმა ექვსეულში ბოლო ადგილი დაიკავეს და როგორც ყოველთვის, მზერა მომავალ სეზონს მიაჰყრეს. და აი, „შევარდენს“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში 1962 წლის ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი, ბათუმის „ბასკოს“ ყოფილი მწვრთნელი, გამოცდილი ვალერი ალთაბაევი ავიატორთა მესაჭე იქნება. ახალი მწვრთნელი მუშაობას ორიოდ დღის წინ შეუდგა, როცა გუნდი შეიკრიბა და საავიაციო ქარხნის დარბაზში მეთერთმეტე ეროვნულისთვის მზადება დაიწყო. შემადგენლობა თითქმის უცვლელია, ერთადერთი ლადო სუხიშვილი, რომლის შესახებაც ადრეც გაუწყეთ, „მაკაბიში“ ვარჯიშობს, მაგრამ მისი იქ ჩარიცხვა კვლავაც საეჭვოა. ახალწვეულიც არავინაა, თუმც, როგორც შევიტყვეთ, გუნდის ხელმძღვანელობას თსუ-დან 205-სანტიმეტრიანი ცენტრის, შოთა მაჭარაძის გადაბირება განუზრახავს.

ირაკლი პერტაია

პრეზიდენტის დაფასებულ ტურნირზე ქართველებიც დაფასდნენ

ირანის დედაქალაქ თეირანში საერთაშორისო ტურნირი გაიმართა კარატეში, სადაც თორმეტმა ქვეყანამ მიიყარა თავი. ტურნირზე ძირითადად აზიური ქვეყნების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ევროპის ღირსება სომხეთმა და საქართველომ დაიცვეს.

ტურნირი, რომლის სახელწოდება ქართულად ასე ჟღერს — „ინტერნაციონალური ერთიანობისა და მეგობრობის თასი“, ტრადიციულია და მეორე დაბადების დღე აღნიშნა. მისი ორგანიზება ირანის კარატეს ფედერაციამ იკისრა და თან ისე ჩინებულად, რომ შეჯიბრს თვით მსოფლიოს კარატეს ფედერაციის (WKF)-ის პრეზიდენტი, ესპანელი ანტონიო ესპინოსა დაესწრო. არადა, ბატონი ესპინოსა ყველა რიგითი ტურნირის მონახულებით იწუხებს თავს, ირანში ჩასვლა კი არ დაიზარა და თავისი ვიზიტით ტურნირის რანგი კიდევ უფრო აამაღლა.

საქართველო თეირანს შიტო-რიუ სეიშინკაი კარატე-დოს კავშირის და საქართველოს კარატე-დოს ეროვნული კავშირის გაერთიანებული ნაკრებით ესტუმრა. სულ ჩვენს დელეგაციაში თვრამეტი წევრი შედიოდა. ამათგან თოთხმეტი სპორტსმენი იყო. ჩვენებურთა ორდღიანი ირანული ლაშქრობა შედეგიანი გამოდგა. ქართველმა კარატისტებმა ირანიდან ერთი ოქრო, ერთი ვერცხლი და სამი ბრინჯაო გამოიყოლეს. მესამე სინჯის მედლები მოიპოვეს ავთო ქურციკიძემ (60 კგ), მალხაზ ჭუმბურიძემ (65 კგ) და ვასილ ჭონიშვილმა (75 კგ). ყველაზე პრესტიჟული, აბსოლუტური წონის ფინალი კი ქართული გამოდგა. ზაზა წულაიამ და ლაშა ბოლქვაძემ გადამწყვეტ ბრძოლას არავინ გააკარეს. ორი ქართველის დაპირისპირება ლაშა ბოლქვაძის გამარჯვებით დასრულდა. ზაზა წულაიამ ვერცხლით დაიმშვენა მკერდი. მთლიანობაში კი ქართველთა ჟულაბაში დაგროვილმა ხუთმა მედალმა, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი მოგვიტანა. წინ მასპინძელი ირანისა და სირიის ნაკრებები აღმოჩნდნენ. გუნდურ შეჯიბრში საქართველოს ნაკრებმა მეზობელი სომხეთი დაიბრიყვა, მაგრამ მერე მასპინძელ და საკმაოდ ძლიერ ირანის გუნდს გადაეყარა. ამას არაობიექტური მსაჯობაც დაერთო და შემდეგ ეტაპზე აზიელები გავიდნენ. რახან მსაჯობა ვახსენეთ, აქვე გეტყვით, რომ ტურნირზე ქართველმაც იმსაჯა. გელა ახალაძეს ჰქონდა საერთაშორისო შეჯიბრის მსაჯობის გამოცდილება. თეირანის ტურნირის ორგანიზატორები კი იმდენად აფასებდნენ ახალაძის ცოდნას, რომ ყველაზე რთული და დაძაბული ფინალების განსჯას სწორედ მას ანდობდნენ.

მთლიანობაში ქართველთა გუნდმა, რომელიც შიტო-რიუ სეიშინკაი კარატე-დოს კავშირის პრეზიდენტ და მის მთავარ ინსტრუქტორ თემურ გიგნაძისა და გოჯუკაი კარატე-დოს ფედერაციის მთავარ მწვრთნელ ზაზა ბერიშვილის მიერ იყო მომზადებული, სპეციალისტთა და ტურნირის ორგანიზატორთა დიდი მოწონება და ყურადღება დაიმსახურა. ამის დასტურია შეჯიბრის შემდეგ მოწყობილ სემინარზე ქართველთა დაფასება, რაც კარატეში დანების მინიჭებით გამოიხატა. ოქროს მედალოსან ლაშა ბოლქვაძეს ირანის კარატეს ფედერაციის პრეზიდენტმა ნასროლა კაკავანდი პირველი დანი მიანიჭა. მესამე დანი მიიღეს მწვრთნელმა თემურ გიგნაძემ და მსაჯმა გელა ახალაძემ.

გაჩო სვანიძე

ტურნირის შემდეგ ქართველმა და ირანელმა კარატისტებმა ერთობლივად წაივარჯიშეს და სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს

საფრანგეთის შავი ათი პროცენტი

ლიბერასიონი თანამემამულეებს ბრალს სდებს

ახლახან ცნობილი გახდა, რომ იმ მედიკამენტებიდან, რომლებიც საფრანგეთის ოლიმპიურმა გუნდმა სიდნეიში ჩაიტანა, ათი პროცენტი სპორტსმენთათვის აკრძალული ყოფილა. გაზეთ „ლიბერასიონის“ ცნობით, 580 ტიპის პრეპარატიდან 57 სოკის მიერ შავ სიაში შეტანილთა რიცხვს განეკუთვნება.

საინტერესოა, რომ ამას თავად საფრანგეთის ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელებიც არ უარყოფენ და გამარტავენ, რომ ასეთი სახის წამლები მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელი სამედიცინო დახმარებისთვის იყო განკუთვნილი.

„ის პროცედურა, რომელსაც ჩვენ ვიცავდით, ყველასთვის ცნობილი და ნებადართული გახლდათ“ — ვითარებაში გვარკვევს საფრანგეთის ოლიმპიური გუნდის გენერალური მდივანი დენის მასელია.

იმავეს აცხადებს ფრანგ ოლიმპიელთა მთავარი ექიმი მორის ვრილაკი: „არც ერთ ათლეტს არ გამოუყენებია აკრძალული პრეპარატი. ეს უდავოა. ყველა ექიმს სჭირდება აუცილებელი სამედიცინო სამსახურისთვის საჭირო წამლები“.

მათ სოკ-ის სამედიცინო კომისიის დირექტორი პატრიკ შამაშიც უკრავს კვერს და განმარტავს, თუ რატომ ჩაიტანეს ფრანგებმა აკრძალული პრეპარატები სიდნეიში.

„ამგვარი რამ მიღებულია დელეგაციის ხელმძღვანელი ექიმის სამედიცინო პრაქტიკაში. ასეთი სახის მედიკამენტებით მკურნალობა შესაძლებელია დელეგაციის ნებისმიერ წევრს დასჭირდეს“ — ბრძანა შამაშმა.

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

ფირმების რეგისტრაცია
ოფშორული კომპანიები
რუსეთის ვიზები
მისამართი:
„პირიმზე“ მეორე სართული
ტელეფონი: 93-52-34, 877 42-20-59

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ

SALT LAKE 2002

სპორტულმა ჟურნალისტებმა, ვისაც სურვილი გაქვთ დაესწროთ და გააშუქოთ სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშები, აკრედიტაციისათვის მიმართეთ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს 5 სექტემბრამდე.

სოლტ ლეიკ სიტიში სამგზავრო ავიაბილეთების, სასტუმროსა და კვების ხარჯები თავად ჟურნალისტზე ან მის მიმვლინებელ რედაქციაზეა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი. 29 აგვისტო. გომელი

ბელარუსი 95:65 საქართველო

26:17, 18:13, 25:25, 26:10

ბელარუსი: კუზმინი (11), კრივონოსი (13), ბოიდაკოვი (25), მეშჩერიაკოვი (10), კული (17); პინტიკოვი, კორშუკი, ლაშკევიჩი (4), კოჟენეცი (15), კუჩინსკი

საქართველო: თორთლაძე (11), გოგობერიშვილი (18), ბოისა (2), ნაცვლიშვილი (12), ფაჩულია (12); ხოშტარია (8), ჟღენტი, მუშკუდიანი, კოკოლიშვილი, ცქიტიშვილი (2)

მსაჯები: ვ. ოხრიმენკო (რუსეთი), ვ. დრაბიკოვსკი (უკრაინა)

ბელარუსელებმა ქართველები ბულგარელების იმედად დატოვეს

ალექსეი ვსტავსკი
ალექსანდრ დოგრიანი
„პრესბოლი", გომელიდან

ბელარუსის ნაკრებმა წარუმატებლად დაიწყო ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი. მომდევნო ეტაპზე გასასვლელად მეორე წრის სამივე მატჩის მოგებაა აუცილებელი. ალექსანდრ ბორისოვის შეგირდებმაც გულმოდგინედ დაიწყეს დანაკარგის ანაზღაურება. შაბათს მათ აზერბაიჯანული ბარიერი დაძლიეს, ოთხშაბათს — ქართული.

საქართველოს ნაკრები გომელში ცუდ ხასიათზე ჩამოვიდა. ბულგარეთთან დამარცხებამ იგი ცხრილის მეორე საფეხურზე დააქვეითა. ჩვენთან საუბრისას ქართველთა მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ აღნიშნა, რომ იამბოლში მსაჯობა პრობულგარული იყო: საწყის წუთებშივე გუნდის ლიდერებს, ნაცვლიშვილსა და ფაჩულიას პერსონალურები უხვად ჩამოურიგეს და ისინიც იძულებით დასხდნენ სათადარიგოთა სკამზე. თამაში თავიდანვე გატყდა და ქართველთა დიდი მცდელობის მიუხედავად, არაფრით გათანაბრდა.

კავკასიელების გუნება ვერც იამბოლიდან გომელამდე მგზავრობამ გამოაკეთა. გუნდს კიევამდე ჩასვლა მატარებლით ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ რუმინეთის სატრანზიტო ვიზების უქონლობის გამო იგი საზღვრიდან უკან დაუბრუნეს. მაშინ ქართველები მდინარე დუნაის კატარღით დაჰყვნენ, რათა რუმინეთის ტერიტორიაზე არ შესულიყვნენ. კიეველმა კოლეგებმა მათ ამისთვის კატარღაც კი გაუგზავნეს. ასე მიაღწიეს ქართველმა კალათბურთელებმა უკრაინის ნაპირებს, იქიდან კი ოდესამდე მატარებლით იმგზავრეს. შემდეგ როგორღაც კიევშიც ჩავიდნენ და იქიდან გომელს ავტობუსით მოადგნენ.

ალექსანდრ კული ვახტანგ ნაცვლიშვილსა და ზაზა ფაჩულიას (№8) შორის გაძვრა

ერთი სიტყვით, ბელარუსებთან შესახვედრად ქართველები მატჩის წინა საღამოს დაღლილ-დაქანცულები და გამოძინების უდიდესი სურვილით ჩამოვიდნენ. სასტუმრო „ტურისტში" ერთდამიანმა დასვენებამ ტომარაძის შეგირდები გამოაცოცხლა და გამარჯვების სურვილით აღანთო. ისინი არც იმას შეუშინდნენ, რომ საწყისი ორი წუთის განმავლობაში ბურთებს კალათში მხოლოდ ბელარუსები აგდებდნენ. ანგარიში ფარქვეშიდან ალექსანდრ კულმა გახსნა. შემდეგ კუზმინმა სამქულიანი ხაზის გარედან იყოჩაღა, ხოლო ხუთქულიანი უპირატესობა გაამყარა კრივონოსმა, რომელმაც ბურთი ჩაჭრა და კონტრშეტევა შედეგიანად დაასრულა — 7:0. სტუმრები არ დაბნეულან, შეცდომები ერთმანეთისთვის არ გადაუბრალებიათ და ბელარუსთა დაცვაში სუსტი ადგილების ძებნა დაიწყეს. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მათ ძალიან მალე მიაღწიეს მიზანს. სამი წუთის შემდეგ თორთლაძისა და ნაცვლიშვილის ძალისხმევით სტუმრები 15:13 დაწინაურდნენ. სხვათა შორის, ქართველებმა ორჯერ შორი მანძილიდან ჩააგდეს, რითაც ერთგვარად გააქარწყლეს ბორისოვის მატჩისწინა სიტყვები, აქაოდა, ჩვენს სტუმრებს პერიმეტრიდან შეტევა არ უყვართო.

მასპინძლებს, ცხადია, არ აწყობდათ შექმნილი სიტუაცია. მათ მკვეთრად მოუმატეს მოძრაობას და უფრო აგრესიულნი გახდნენ. ამან შესანიშნავი ოთხწუთიანი მონაკვეთი მოიტანა, რომელიც ბელარუსებმა 13:0 მოიგეს. სტუმრებმა მხოლოდ პირველი მეოთხედის ბოლოს მოახერხეს გონს მოსვლა, ერთხელ ჩააგდეს და მცირე შესვენებაზე გუნდები მასპინძელთათვის დამაიმედებელი ანგარიშით, 26:17 წავიდნენ.

მეორე ათწუთიულში მწვრთნელებმა შეცვლები გააკეთეს და ამან რამდენადმე გაათანაბრა მდგომარეობა. ქართველებმა ალღო აუღეს ბელარუსთაგან ყველაზე აქტიური კულის მოქმედებას. ამის გამო ბორისოვის შეგირდებმა ფლანგებიდან გადაწყვიტეს შეტევა. იქ კი ბოიდაკოვი და მეშჩერიაკოვი კარგად ირჯებოდნენ. საერთოდ, მეორე მეოთხედი ორი წყვილის დუელით აღინიშნა: ბოიდაკოვი — ხოშტარია (შესაბამისად 13 და 8 ქულა მეოთხედში) და კული — ფაჩულია (შესაბამისად 13 და 5 ქულა მეოთხედში).

მესამე მეოთხედი მასპინძელთათვის ცივი შხაპით დაიწყო — 0:7. მიზანი გაისწორეს თორთლაძემ და გოგობერიშვილმა. ანგარიშში სხვაობა 7 ქულამდე შემცირდა. მოედანზე სიტუაცია მაქსიმალურად დაიძაბა: მეშჩერიაკოვს წარბი გაუხეთქეს, ცქიტიშვილი და კრივონოსი ერთმანეთს წაეკიდნენ. ვნებათაღელვის ჩასაცხრობად ალექსანდრ ბორისოვმა წუთშესვენება აიღო, რომლის შემდეგაც ბელარუსის ნაკრები ზონურ დაცვაზე გადაეწყო. ამან ვერ გაამართლა, რადგან გოგობერიშვილმა ოთხჯერ დაამტკიცა, რომ ბურთის ჩაგდება ექვსი მეტრდანაც არ უჭირს. მეოთხედის შუაწელში მასპინძლებმა დროებით მოისაკლისეს კული, რომელსაც მსაჯებმა მეოთხე პერსონალური მისცეს. სტუმრებს თითქოს უნდა გაადვილებოდათ თამაში, მაგრამ შეცვლაზე შესულმა კოჟენეცმა და ლაშკევიჩმა „ორმაგი კოშკი" ააშენეს, რომლის წყალობითაც ბელარუსებმა დაიბრუნეს უპირატესობა ფარქვეშ. ბოლო შესვენების წინ მასპინძლები კვლავინდებურად 14 ქულას იგებდნენ — 69:55.

დასკვნითი მეოთხედი კი მაყურებელთა გამაყრუებელ ხმაურში წარიმართა. მეშჩერიაკოვი და კული მოედანს დაუბრუნდნენ, რის შედეგადაც ალექსანდრ ბორისოვის შეგირდები შეუჩერებელნი გახდნენ. ქართველები შესამჩნევად დაიბნენ. მსაჯებთან, მეტოქეებთან და ერთმანეთთან ურთიერთობების გარკვევა დაიწყეს. ცხადია, ამის გამო უარესად ათამაშდნენ. ბოლო ათწუთიულში მათ მხოლოდ 10 ქულა გააკეთეს, მაშინ, როცა ბელარუსებმა მათთვის ძლიერ საჭირო დიდი ანგარიშით მოგებაზე დაიწყეს ზრუნვა და გამანადგურებელი სხვაობითაც გაიმარჯვეს — 95:65.

ბულგარეთი 117:66 აზერბაიჯანი

ბულგარეთი	5	4	1	468:349	9
ბელარუსი	5	3	2	465:347	8
საქართველო	5	3	2	416:394	8
აზერბაიჯანი	5	0	5	298:537	5

მატჩის შემდეგ



ნუგზარ კანდელაკი

მატჩის შემდეგ გომელში საქართველოს ნაკრების მწვრთნელს, **ნუგზარ კანდელაკს** შევეხმიანეთ და კომენტარი ვთხოვეთ:

— ძნელია რაიმეს თქმა, 30 ქულით დავმარცხდით და ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს. ბელარუსის ნაკრები, თბილისური მატჩისგან განსხვავებით, ერთი-ორად ძლიერი იყო. მათ ყველა სათამაშო კომპონენტში გვავჯობეს. მასპინძლები ფიზიკური მოშზადების მხრივ ჩვენზე ერთი თავით მაღლა იდგნენ. შემადგენლობაც მნიშვნელოვნად გადახალისებული იყო. ივნისში მათი ნაკრების ოთხი წევრი, რომლებიც ევროპულ კლუბებში ასპარეზობდნენ, თავ-თავიანთ ჩემპიონატების პლეი ოფებში თამაშობდნენ და ამიტომ ვერ დაეხმარნენ ეროვნულ გუნდს ჩვენთან შეხვედრისას. ახლა კი ყველანი შეიკრიბნენ და გუნდი მნიშვნელოვნად გააძლიერეს.

— წარმატების მცირე შანსიც არ გქონიათ?

— საბოლოო წარმატებაზე რა მოგახსენოთ, მოგების არანაირი შანსი არ გვქონია. თუმცა მესამე მეოთხედამდე თამაშს აზრი კიდევ ჰქონდა. ჩვენს ბიჭებს მომენტებში კარგად მასდიოდათ საქმე, მაგრამ ბოლოს გატყდნენ და უკანასკნელი მეოთხედი სასტიკად წავაგეთ.

— არასრულყოფილმა მომზადებამ და ხანგრძლივმა მგზავრობამ წარუმატებლობაში ალბათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა...

— არც ეგრეა საქმე. როგორც არ უნდა მოვმზადებულიყავით და რითიც არ უნდა გვემგზავრა, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ვერაფერს გავხდებოდით, რა თქმა უნდა მოგებას ვგულისხმობ. ბელარუსთაგან ექვსი მოთამაშე ევროპის ჩემპიონია ახალგაზრდებს შორის და ამას ათიოდ წლის წინ მიაღწიეს. მას შემდეგ ისინი ნაკრებში ერთად თამაშობენ და წარმოიდგინეთ, ერთმანეთთან როგორი შეთამაშებულები იქნებიან. ჩვენი მიავარი კოზირი, სიმაღლე, ვერ გამოვიყენეთ. ბელარუსებმა ფარიც მოგვგეს და ტაქტიკურადაც დაგვჯაბნეს. კულმა ჩინებულად ითამაშა და თბილისური მატჩისგან განსხვავებით ფაჩულია დაჩრდილა. ზაზა მაინც ახალგაზრდა მოთამაშეა და კულის გამოცდილებამ თავისი გაიტანა.

— ჩვენგან ვის გამოარჩევდით?

— რამაზ გოგობერიშვილსა და დავით თორთლაძეს. სხვებისგან განსხვავებით ამ მოთამაშეებმა დამამახსოვრეს თავი. მათ ჯამში 7 სამქულიანი ჩაგდეს. საერთოდ, მინდა ვთქვა, რომ უკანა ხაზმა წინას აჯობა, რაც ჩვენს ნაკრებში იშვიათი [illegible] ბავია.

— ჯგუფიდან გასვლის შანსი ფაქტობრივად აღარ არსებობს...

— სწორედაც რომ ეგრეა. ის მაზერული შანსი, რომელსაც ბულგარეთის მიერ ბელარუსის სტუმრად დამარცხება ჰქვია, სათვალავში არცაა ჩასაგდები. ორი აზრი არ არსებობს, რომ ბელარუსები შინ ღირსეულ რევანშს აიღებენ და ბულგარელებს სასტიკად დაამარცხებენ.

ირაკლი პერტაია

ეროვნული ბიბლიოთეკა
ვერაგ დოლიძეგვეთლის ფოტო

დიდი ბრძოლა დაინიშნა



REUTERS ბალტიმორიდან

სწორედ გუშინ, ბალტიმორის მერიაში გაიმართა დიდი საკრივო პრესკონფერენცია, რომელსაც გაქნილი დონ კინგი გაუძღვა. კინგს აქეთ-იქით უსხდნენ მძიმე წონის ორი დიდი ქამრის მფლობელი, ბალტიმორელი ჰასიმ-კლდე-რაჰმანი და მის მიერ ამ გაზაფხულზე გვემული ნამდვილი სახალხო ჩემპიონი, მძიმე წონის ბოლო უდავო მეფე, ბრიტი ლენოქს ლუისი. საქმე რაჰმანის და კინგის მხრიდან გაჯანჯლებულ რემატჩს ეხებოდა, რომელიც აწ უკვე უდავოდ გაიმართება 17 ნოემბერს ლას ვეგასში. რაჰმანმა (ჯგუფურ ფოტოზე მარცხნიდან მეორე) გვარიანად იტრაბახა და ქამრებიც გადმოფინა მერიის აივანზე, ლუისს კი ჩვეულებრივი საშარვლე ქამარი აჩუქა, შენ ესეც გეყოფა, ჩემგან სხვას ვერაფერს მიიღებო. ლუისმა საჩუქარი ხითხითით მიიღო და წელზე შემოირტყა, დრო მოვა და სხვა ქამრებში გაგიცვლიო.



სულისჩამდგმელი გახსნაზე

REUTERS ბრისბენიდან

ავსტრალიურ ბრისბენში, კეთილი ნების თამაშების გახსნას ესწრება დიდი ტელემაგნატი, ამ თამაშების სულისჩამდგმელი ტედ ტერნერი. ადრე, ამგვარ ღონისძიებებზე მისულ ტერნერს მხარს ცოლი, კინოვარსკვლავი ჯეინ ფონდა უმშვენებდა ხოლმე. ახლა კი, რახან ისინი ერთმანეთს გაშორდნენ, ძია ტედს სხვა ქალი, კომპანიონი რებეკა სტიუარტი უდგას გვერდით.

REUTERS ნიუ იორკიდან

სამპრასი ხარობს

გახურდა ამერიკის ღია პირველობა. პიტ სამპრასი, რომელიც ამტკიცებს, რომ წლეულს ისეთივე მაგარია, როგორიც შარშან იყო, უიმბლდონზე ჩაფლავებას შემთხვევითობას მიაწერს და გამარჯვებით ხარობს. თუმცა, გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც: ფრანგმა ჟულიან ბუტემ გვარიანი ოფლი ადინა დიდ ჩემპიონს. სამი სეტი კი აკმარა, მაგრამ ანგარიში 6:4, 7:6, 7:6 მრავლისმეტყველია. ქმრის გამარჯვება კი, რა თქმა უნდა ეამა მსახიობ-ლამაზმანს, ბრიჯიტ უილსონს, რომელიც, ასევე რა თქმა უნდა, ფლუშინგ მიდოუსის ტერასაზე იჯდა.



REUTERS ნიუ იორკიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაძიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი ვერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სალომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, ვ.ორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი **კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნთელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge